საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 24 ივლისი, 2015 წელი.

№137 (7782)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

◎ ეს პრესტიჟია საქართველოსი!

ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის საჩოგბურთო კორტები გახსნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუკშინ „მზიურის“ მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისის საჩოგბურთო ბაზა გახსნა.

სპეციალურად ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის აშენებულ ბოლო სპორტული ობიექტის პრეზენტაციას დაესწრნენ დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, ევროპის ახალგაზრდული ფესტივალის – „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანი. მათ ახლად გახსნილი ობიექტი დაათვალიერეს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ქართველ ჩოგბურთელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კორტები ექნებათ. პრემიერმა ჩოგბურთელებს აღნიშნული ობიექტის გახსნა მიულოცა.

„დღეს გავხსენით კიდევ ერთი და ბოლო ობიექტი, ეს არის საჩოგბურთო ცენტრი; პრაქტიკულად ნოლიდან გავაკეთეთ ყველაფერი. აქ არის ცხრა ღია და ორი დახურული მოედანი. ჯამში, ეს პროექტი 6,5 მილიონი ლარი დაჯდა. ჩვენ ჩოგბურთელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კორტები ექნებათ, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენთვის სასიხარულოა, აქ ბევრი წარმატებული ჩოგბურთელი გაიზრდება. ჩვენ გვაქვს წარმატებები, გვყავს სახელოვანი ჩოგბურთელები. სულ რაღაც 2-3 კვირის წინათ ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა უიმბლდონზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ასე რომ, ეს არის მათთვის სტიმულის მომცემი, კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველა ჩოგბურთელს ამ ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტის გახსნას“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ტარიელ ხეჩიკაშვილის განცხადებით, აღნიშნული ობიექტი ქართული სპორტისთვის მთავრობის საჩუქარია. მისივე განცხადებით, ახალაშენებული კორტები საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს, საფარი კი უმაღლესი ხარისხისაა.

„აღნიშნული ობიექტი ხელს შეუწყობს როგორც პროფესიონალური, ასევე სამოყვარულო სპორტის განვითარებას. ჩოგბურთი საქართველოში ძალიან პოპულარულია. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ აღნიშნულ სპორტის სახეობას დიდი პერსპექტივა აქვს“, – განაცხადა სპორტის მინისტრმა.

იგი დარწმუნებულია, რომ ახლად გახსნილი ობიექტი ხელს შეუწყობს ქართველ ჩოგბურთელთა უმაღლეს დონეზე ასპარეზობას.

დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ ობიექტის მაღალ სტანდარტებზე და საფარის ხარისხზე გაამახვილა ყურადღება.

„დედაქალაქს ბოლო წლების განმავლობაში პრობლემა **ჰქონდა და ჩვენი სპორტსმენები ვერ ემზადებოდნენ ადგილზე. მათ უწევდათ სხვადასხვა ღონისძიებებისთვის გარეთ მზადება. დღევანდელი დღიდან დედაქალაქში გვაქვს მაღალი დონის სათანადო სტანდარტებით მომზადებული კორტები, სადაც არა მხოლოდ ჩვენი სპორტსმენები მოემზადებიან, არამედ ოლიმპიადის შემდეგაც ბევრი საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიების მასპინძლობა შეგვეძლება“,** – განაცხადა დავით ნარმანიამ.

12 000 კვ.მ ფართობზე განთავსებული არის ცხრა ღია და ორი დახურული ჩოგბურთის კორტი. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი 26 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით თბილისში გაიმართება. დედაქალაქს 50 ქვეყნის 3 800-მდე სპორტსმენი ესტუმრება.

გიორგი შოთაძე

◎ ქვეყნის ჭირი

ვახტანგ მაისაია:

რა დროს ქსოვაა, დეპოში შევდივართ, გრიშა ბიძიებო!

5

გამოაფხიზლეთ უშიშროების საბჭო და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი!

5

კარლო კოპალიანი:

გასდით და იმადაც ტირიან!

ანუ როგორ გეგმავენ ნაციონალები 2008 წლის ომის გამეორებას

დავით იაკობიძე:

არავითარი ბიუჯეტის სეკვესტრი არ მომხდარა

3

გიორგი ბარაბაძე:

ახლა ამათი ჯარიმები ჩვენ თუ უნდა ვიხადოთ!..

4

პარლამენტმა „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონი მიიღო

6

9

თუ გრიგოლ რობაქიძეს ენდობი, ჰომოფობიის იარლიყს მოგაკრავენ!

ადგილობრივ მომხმარებელში ქართულ პროდუქციაზე მოთხოვნა გაიზარდა

2

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სუბსიდირება აუცილებლად იქნება

სამომხმარებლო ტარიფის გაზრდის გამო, სახელმწიფო სუბსიდია მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს შეეხებათ. როგორც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს, რომ მათ ტვირთი შეუმსუბუქოს.

„ვიცით, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანო, განიხილავს სამომხმარებლო ტარიფის კორექტირების საკითხს. გვესმის, რომ ეს გამოწვეულია იმ რეალობით, რომელიც რეგიონშია შექმნილი და მათ შორის ჩვენ ქვეყანაშიც. თუ ტარიფი დაკორექტირდება და აიწევს, მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ მოსახლეობას ტვირთი შეუმსუბუქოს და აუცილებლად იქნება სუბსიდირება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ანუ მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. მინდა, მოსახლეობას შევახსენო, რომ ჩვენ ვართ სოციალურად ორიენტირებული ხელისუფლება და ეს საქმით დავამტკიცეთ - 3 წლის განმავლობაში ჩვენი მოსახლეობის სოციალურად დაცვისთვის გავაკეთეთ და ვაკეთებთ ძალიან ბევრ რამეს“, —- განაცხადა ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის ვინაობა, სავარაუდოდ, ორშაბათს გვეცოდინება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს, სავარაუდოდ, ორშაბათს დაასახელებს. შესაბამისი განცხადება პრემიერმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა.

„პარლამენტმა დაამტკიცა ბატონი ვახტანგის კანდიდატურა. ის გახდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი. რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრს, ახალ კანდიდატს, სავარაუდოდ, ორშაბათს წარვუდგენ საზოგადოებას, მანამდე ბატონი ვახტანგი შეასრულებს შს მინისტრის მოვალეობას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ახალი შს მინისტრი 1 აგვისტომდე უნდა დაასახელოს.

საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას მიწებს უფასოდ დაუმუშავებენ

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

პრემიერმა სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვით მიმართა. როგორც დანელიამ უპასუხა, შეისწავლეს ამ რეგიონებში არსებული მდგომარეობა.

„პრემიერთან შეთანხმებით და დავალებით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მოსავლის აღება მოხდეს უფასოდ“, — განაცხადა დანელიამ.

620 დევნილ ოჯახს ბინები საკუთრებაში გადაეცემა

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, მთავრობა დაამტკიცებს 620 დევნილი ოჯახისთვის საკუთრებაში ბინების გადაცემას თბილისსა და რეგიონებში.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ამ მიმართულებით მთავრობამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და ეს პროცესი გრძელდება

ზარალი გაიქვითება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ზარალი, რომელიც თბოელექტროკომპანიებს ლარის გაუფასურების გამო მიადგათ, გაიქვითება იმ ზედმეტ მოგებაში, რომელიც მათ წლების განმავლობაში მოსახლეობისთვის დაწესებული მაღალი ტარიფის შედეგად მიიღეს. შესაბამისი განცხადება პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა. მისივე შეფასებით, წინა ხელისუფლების დროს მოსახლეობა ელექტროენერგიაზე იმაზე მაღალ გადასახადს იხდიდა, ვიდრე რეალური ფასი იყო.

„დღეს ასეთი ვითარება გვაქვს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ, როცა 3 წლის წინათ ჩვენი ხელისუფლება მოვიდა სათავეში, ჯერ კიდევ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით წამოიწია ტარიფის თემა. მაშინ ჩვენ აქტიურად ვიმუშავეთ სემეკთან და მივაღწიეთ იმას, რომ სამომხმარებლო ტარიფი 3,54 თეთრით შევამცირეთ. ამ დრომდე ანალოგიური ნაბიჯი არც ერთ მთავრობას არ გადაუდგამს, ანუ ჩვენ მაშინ ვნახეთ, რომ რეალურად შეიძლებოდა შემცირება ტარიფის და წლების განმავლობაში მოსახლეობა იხდიდა ზედმეტად, რაც მიმაჩნია, რომ იყო წინა მთავრობის მხრიდან ჩადენილი უსამართლობა და დანაშაულიც კი, მოსახლეობას შეგნებულად ზედმეტს ახდევინებდა. ვიცი, რომ გარკვეული ზედმეტობა უფიქსირდებათ კომპანიებსაც. ასე რომ, ზარალი, რომელიც მათ მიიღეს ბოლო 1 წლის განმავლობაში, გაიქვითება და გაბათილდება იმ ზედმეტობაში, რომელიც დაუგროვდათ წლების განმავლობაში“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„შემრცხვა ჩემი კოლეგის გამო“

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე თავისი თანაგუნდელის სოსო ჯაჭვლიანის პარლამენტში გამოსვლის გამო ბოდიშს იხდის და წუხს, რომ, როგორც სხდომის წამყვანმა, მისი შეჩერება ვერ შეძლო.

„ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა თანაგუნდელობა, თანაპარტიელობა არ მზღუდავს, პირიქით, მავალდებულებს კიდეც... მე ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას, ამომრჩევლებს, ჩვენს მომხრეებს თუ მოწინააღმდეგეებს, განსაკუთრებით, ყველა ქალს, ვინც დარბაზში იჯდა ან ეთერში გვისმენდა, შეიძლება არც გვისმენდა, განურჩევლად მათი სტატუსისა, ასაკისა, მდგომარეობისა, იმ უხამსი შინაარსის გამონათქვამებისთვის, რაც ბატონი სოსო ჯაჭვლიანის განცხადებაში იყო და ჩემი აზრით, ყოველგვარი იუმორის, ხუმრობის ფარგლებს სცდება (თუკი ამ შემთხვევაში იუმორით ვინმე შეეცდება მის გამართლებას). ვწუხვარ, რომ მე, როგორც სხდომის წამყვანმა, ვერ შევძელი მისი შეჩერება. ჩვენ ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ბევრად მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს, ვიდრე იმ ადამიანებს, ვისაც საპარლამენტო ტრიბუნიდან ვეპასუხებით. დღეს მე პირადად შემრცხვა ჩემი კოლეგის გამო და არ მრცხვენია ამის აღიარების“, — წერს კობახიძე.

განცხადება, რომლის გამოც მანანა კობახიძე ბოდიშს იხდის, სოსო ჯაჭვლიანმა ოთხშაბათს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე გააკეთა.

„მოგახსენებთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გვენატრება რუსეთი. კაკო ბობოხიძემ ბრძანა, რომ ჩვენ 37-მანეთიანი ბილეთები და 10-მანეთიანი ბოზები გვენატრება. ბატონო კაკო, ის 37-მანეთი ახლა ჩემთვის 5 ათასევროიანია — ვანგარიშობ მსყიდველობით. მე ბოზებში არასდროს არ დავდიოდი, არც მაშინ და არც ახლა. ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო 10 მანეთის გადახდა. მე 10 მანეთის გარეშეც ვახერხებდი ამ საკითხებს. ისე ცნობისთვის, თუკი ვინმე ლამაზი ქალბატონი იყო საბჭოთა კინოში, ყველასთან ვარ ნამუშევარი 10 მანეთის გარეშე. ეტყობა, თქვენ ასეთი საკითხები ძალიან გაწუხებთ. მაგალითად, ქალბატონი ეკა ხერხეულიძეს ჩემი ოჯახის დანგრევის მცდელობა ჰქონდა. მან ამ რამდენიმე თვის წინათ ბრძანა, რომ პარლამენტის სესია იმიტომ ჩაიშალა, კვორუმი არ შედგა, სოსო ჯაჭვლიანი იბიარდზე იყოო. რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას, ქალბატონო ეკა? მე იბიარდზე ვერასოდეს ვერ ვიქნები — მე ერთგული მეუღლე ვარ. ეს თქვენი გუნდი დადიოდა ამ „იბიარდზე“ 10 წლის განმავლობაში. ეს „იბიარდობა“ ეტყობა ქვეყანას. ამიტომ ნაიბიარდები ქვეყნის გამოყვანა სტაგნაციიდან ძალიან ძნელია. ჩვენ ვეცდებით საღი აზრების იმპლემენტირება გავაკეთოთ“, — განაცხადა ჯაჭვლიანმა სესიაზე.

გამოსვლისას სხდომის წამყვანმა, პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ ჯაჭვლიანის გაჩერება რამდენჯერმა სცადა და შეახსენა, რომ პარლამენტში კორექტულად ესაუბრა.

◎ გამოკითხვა

ადგილობრივ მომხმარებელში ქართულ პროდუქციაზე მოთხოვნა გაიზარდა

მიუხედავად **იმისა, რომ საქართველოში იმპორტირებული პროდუქცია მნიშვნელოვნად ჭარბობს ადგილობრივ წარმოებას, საქართველოში წარმოებული პროდუქციის პოპულარობა მომხმარებელში სულ უფრო იზრდება. მომხმარებელთა უმრავლესობა ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო ხშირად სწორედ ქართულ პროდუქციას ირჩევს.**

bpn.ge-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხულთა 68,4% სწორედ ქართულ პროდუქციას ყიდულობს, გამოკითხულთა 11,65% კი მხოლოდ ქართულ საკვებ პროდუქტს ყიდულობს, ზოგ შემთხვევაში ადგილობრივ ნაწარმზე არჩევანს გამოკითხულთა 15,6% აკეთებს, 4,71% კი უარს ამბობს ქართული პროდუქციის შეძენაზე. გამოკითხვაში მონაწილეობა სულ 1 699-მა რესპონდენტმა მიიღო.

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ქართული პროდუქციისადმი მათ ნდობას ძირითადად პროდუქციის მაღალი ხარისხი და ეკოლოგიური სისუფთავე განაპირობებს.

ადგილობრივ ბაზარზე ქართული პროდუქციის მოთხოვნის ზრდას რამდენიმე მიზეზით ხსნის **ექსპერტი სოსო არჩვაძე**. მისი თქმით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფასია.

„ამ სასიკეთო ცვლილებას ბევრი მიზეზი აქვს. თუმცა, პირველ რიგში, ეს, ალბათ, ფასია — უცხოური პროდუქცია შედარებით ძვირია. გარდა ამისა, უცხოეთიდან ბევრი გენმოდიფიცირებული და ქიმიური დანამატების შემცველი პროდუქტი შემოდის, რომელიც ჯანმრთელობისთვის მაინცდამაინც სასარგებლო არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთან ქიმიური მრეწველობა და დანამატები იმ დონეზე არ არის, პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა და ამიტომ საბოლოოდ, მოსახლეობის დიდი ნაწილი უპირატესობას ქართულ პროდუქციას ანიჭებს“, — აღნიშნა ეკონომიკის ექსპერტმა სოსო არჩვაძემ.

ეკონომიკის ექსპერტი იმედს გამოთქვამს, რომ შემდგომში მოქალაქეობრივი სიმწიფე, პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და კანონის წინაშე, ქართველ მეწარმეებს ხელს შეუწყობს, რომ მათი წარმოებული პროდუქცია საკრიტიკო არ გახდეს.

„მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მოთხოვნისა, ქართული პროდუქციის წილი სამომხმარებლო სეგმენტში დაბალია და მის ზრდაზე მიდის მუშაობა“, — აღნიშნა სოსო არჩვაძემ.

ბოლო წლებში ქართული პროდუქციის მიმართ მომხმარებელთა ინტერესის ზრდაზე საუბრობს ორგანიზაცია „აირჩიე ქართულის“ პროექტის მენეჯერი **ნინი მოსიაშვილიც**. მისი განმარტებით, ორგანიზაცია ხუთი წელია, უკვე სისტემატურად აწყობს ქართული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვას, თუმცა, ბოლო წლებში მოთხოვნა, როგორც კომპანიების, ისე მომხმარებლების მხრიდან მკვეთრად გაიზარდა.

„გამოფენიდან გამოფენამდე ქართული პროდუქციით დაინტერესება და აქტუალურობა სულ უფრო იზრდება. აღსანიშნავია ისიც, რომ გაიზარდა არა მხოლოდ მყიდველთა ინტერესი და რაოდენობა, არამედ გამოფენაში მონაწილე კომპანიათა რაოდენობაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კომპანიებმა გააფართოვეს წარმოება, რადგან არის მოთხოვნა. ჩემი აზრით, ინტერესის ზრდის ძირითადი მიზეზი ხარისხის ზრდაა“, — ამბობს ნინი მოსიაშვილი.

მისივე თქმით, ხარისხის გაფუჭების ნაცვლად, ქართული კომპანიები მომხმარებელზე მორგებულები გახდნენ, რაც ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია მეწარმეების მხრიდან.

ბოლო პერიოდში, საკვები პროდუქტის გარდა, ბაზარზე გამოჩნდა ქართული წარმოების ჰიგიენის საშუალებები, ტანსაცმელი, ასევე გაიზარდა ქართული მაღაზიების ქსელი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ მოთხოვნადია საქართველოში წარმოებული პროდუქცია ქართველ მომხმარებელში.

პრავითარი ბიუჯეტის სეკვესტრი არ მომხდარა

ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაზე „ინტერპრესნიუსი“ თსუ-ს პროფესორს, საქართველოს ფინანსთა ექს-მინისტრს დავით იაკობიძეს ესაუბრა

— ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით ქართულ ეკონომიკაში არსებულ ვითარებას, რეგიონებში ამოქმედებული პროექტების მიმდინარეობას და იმ პროცესებს, რომელიც ეკონომიკის მდგომარეობასა და ლარის კურსს განსაზღვრავს?

— ლარის კურსი აქტუალურია და ყოველთვის აქტუალური იქნება, რადგანაც ჩვენ ლარის საშუალებით ვახდენთ მსოფლიოს საერთო ბაზარზე ინტეგრაციას. თუ ლარი არ იქნება კონვერტილური, მაშინ ჩვენ მსოფლიო ბაზართან ინტეგრაციას ვერ განვახორციელებთ. ამიტომ, იგი ჩვენი ეკონომიკის საფუძველია და ის მოდელი, რომლითაც ჩვენ ვმუშაობთ, გულისხმობს სწორედ ისეთ ეკონომიკურ ცენტრს, რომლის ფოკუსს ლარი წარმოადგენს. ჩვენ მსოფლიო ფინანსური სისტემის ორგანული და შემადგენელი ნაწილი ვართ, ამიტომ მსოფლიოს ფინანსური სისტემის წინაშე ჩვენი ვალდებულებაა, რომ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას ხელი შევუწყოთ, რაც სწორედ ლარის კურსზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მისი აქტუალურობა მუდმივად იქნება და ეს არ არის გასაკვირი.

რაც შეხება იმას, რომ ლარის კურსი დოლართან შეფარდებით არ გამოიყურება სახარბიელოდ, ეს დღეისათვის მიმდინარე პროცესების აუცილებელი და შემადგენელი ელემენტია. ქართულ მედიაში ხშირად საუბრობენ ლარის კურსის გარე და შიდა ფაქტორებზე, რაც არ არის მთლად სწორი და აი რატომ — როცა ჩვენ უკვე ეკონომიკური თვალსაზრისით ღია საზოგადოება ვართ, როცა ჩვენ მსოფლიო ფინანსური სისტემის ნაწილი ვართ, აღარ არსებობს „ის გარე ფაქტორი“, რომლისგანაც ჩვენ თავის დაცვა შეგვიძლია. როცა მსოფლიოში მიმოქცევაში დოლარის რაოდენობა მცირდება და იგი დაახლოებით 1/3-ითაა შემცირებული, ამისგან თავის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მსოფლიო საფინანსო სისტემის ნაწილად ყოფნა ნიშნავს ორი რამის აღიარებას — გქონდეს ერთი ფული, რომელზეც ორიენტირებულია მსოფლიო საზოგადოება და აუცილებლად ახორციელებდე ამ ფულის კონვერტაციას. გადარიცხვების საშუალებით ხდებოდეს კაპიტალის მოძრაობა და არა მისი სხვანაირი ფორმით გადატანა, იგულისხმება საბაჟოზე დაფიქსირებით და გადასახადების დაწესებით და ასე შემდეგ. კაპიტალის მოძრაობას ფისკალურ გარემოსთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. ეს ის პირობებია, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ. ეს პირობები ჩვენ გვიცავს კიდეც. უკრაინის კრიზისი, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ემბარგო, რამაც გამოიწვია წარმოების შემცირება, სომხეთში წარმოების ტემპების საშინელი ვარდნა, აზერბაიჯანსა და თურქეთში გართულებები, არ შეიძლებოდა ჩვენს ეკონომიკაზე არ ასახულიყო. ლარის მოდრეიფე კურსმა გარკვეული დეფორმირებები მიიღო. მთავარი ისაა, რომ ასეთმა სიტუაციამ ასახვა ჰპოვა ბიუჯეტზე.

რა ხდება ბიუჯეტში? ჩვენთან არსებული კანონმდებლობით ბიუჯეტი არის მთავრობის განკარგულებაში არსებული სახსრები, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს და რომელიც წარმოდგება გარკვეული ხარჯთაღრიცხვის სახით. ამ სიტუაციაში მისი სეკვესტრირება შეუძლებელიც არის, რადგანაც სეკვესტრირება მოითხოვს იურიდიულ წინაპირობებს. უნდა იყოს კანონი, რომელიც განსაზღვრავდა დაცულ მუხლებს, რომლებსაც არ შეეხება შემცირება და ამის შემდეგ თანაბარპროპორციულად უნდა შემცირდეს ყველა დანარჩენი მუხლები, რომელშიც მიემართება ბიუჯეტის ფული.

ამიტომ, ის, ვინც ამბობს, რომ მოხდა ბიუჯეტის სეკვესტრი, ან ცრუობს, ან არ იცის და ეს კიდევ უფრო დიდი უბედურებაა. ამიტომ, საქართველოში ბიუჯეტის ორგანიზატორები ყოველთვის აკეთებდნენ მიმდინარე პროცესებში ბიუჯეტის კორექციას. როდესაც გილაური იყო ფინანსთა მინისტრი, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და კორექტირება წელიწადში 4-ჯერ ხდებოდა. შემდეგ პერიოდებშიც 2-3-ჯერ ხდებოდა ბიუჯეტის კორექტირება. მართალია, 2012 წელს იცვლებოდა მთავრობა, მაგრამ მმართველმა გუნდმა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ერთხელ კიდევ მოახერხა, ანუ წინა ხელისუფლების დროს ბიუჯეტი ხშირად იყო კორექტირებადი. იგივე სიტუაციში ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა ბიუჯეტში კორექტივების შეტანა. მიმაჩნია, რომ მიმართულება სწორია.

160 მილიონით მცირდება მიმდინარე ხარჯები და ეს ფული გადააქვთ სხვა ღონისძიებებში. რამდენადაც ვიცი, მათი ძირითადი ნაწილი სტიქიით მიყენებული ზარალის აღმოფხვრასა და ადგილებზე არსებული პრობლემების მოგვარებას მოხმარდება. ამით ხელისუფლება სამომხმარებლო ბაზარს ფულით კი არ ტვირთავს, არამედ ფინანსებს კაპიტალური მშენებლობისათვის, ნიადაგის მოწესრიგებისა და გზების სარეაბილიტაციოდ გამოიყენებს, რაც უფრო გააჯანსაღებს ეკონომიკას. რა გამოუვათ, ეს მეორე საკითხია.

— რაც შეეხება ეკონომიკაში არსებული ვითარების ზოგად შეფასებას?

— ეკონომიკაში არსებული ვითარება მარტივი შეფასებადი არ არის. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ ინფლაცია არ არის. ბაზარზე, მიუხედავად ფულის კურსის ცვლილებისა, სტაბილური მდგომარეობაა. შეამჩნევდით, ალბათ, იმასაც, რომ ზოგიერთ პოზიციაზე ფასები შემცირებულიც არის, ზოგიერთ პოზიციაზე იზრდება. ამავე დროს, ვხედავთ, რომ დასაქმების თვალსაზრისით გარკვეული ძვრებია. სამუშაო ადგილებიც გამოჩნდა და დასაქმებულების შრომის ნაყოფიერების ზრდაცა გვაქვს. მხედველობაში მაქვს ის, რომ საქართველოში არასოდეს არ ყოფილა ქერის ისეთი მოსავალი, ახლა რომ გვაქვს. ეს ბუნებრივად კი არ მომხდარა, არამედ იმის გამო, რომ ამ სფეროში ფული დაიხარჯა. წელს ქერის მოსავალმა ერთ ჰექტარზე 7,5 ტონა შეადგინა. ასევე საუბარია იმაზე, რომ წელს ხორბლის უხვი მოსავალია, თუმცა, არ ზუსტდება ჰექტარზე რამდენი ტონა იქნა მოწეული.

ასევე გაზრდილია წველადობა, მეცხვარეობაში ცხვრის ნამატი. მართალია, დასავლეთ საქართველოში მესიმინდეობის დარგში ჩამორჩენაა, მაგრამ, სამაგიეროდ, გაზრდილია თხილისა და ხილის წარმოება. ვხედავთ ბაზრის ახალი სეგმენტების ძიების ტენდენციებს, მაგალითად, გურიაში — მოცვისათვის, ხოლო სამეგრელოში — თხილისათვის. ეკონომიკაში შექმნილია წინაპირობები, რომელსაც უნდა მოჰყვეს ძვრები.

— მალე სამი წელი იქნება, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია. ამ პერიოდში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ დღევანდელი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა წინა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. რით განსხვავდება „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკა „ნაციონალების“ ეკონომიკური პოლიტიკისაგან? და კიდევ, ხშირად გაიგონებთ, „ნაციონალების“ დროს რაღაც მაინც კეთდებოდა, ახლა ყველაფერში სტაგნაციაა. მთლად ასე არ უნდა იყოს, მაგრამ, თქვენი აზრით, ასეთი შთაბეჭდილება მაინც რატომ რჩება ჩვენს მოქალაქეებს?

— ეკონომიკურ პოლტიკაში განსხვავება ისაა, რომ ადამიანი გახდა ეკონომიკური ზრუნვის ობიექტი. პროცესი წავიდა ადამიანის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების ზრდისაკენ. მანამდე ეკონომიკური პროცესები საერთოდ არ იყო პოლიტიკის განხილვის ობიექტი. იყო საბაზრო ეკონომიკის გლობალური კანონზომიერებების თვითდინებაზე მიშვება. შესაბამისად, საქართველო ნელ-ნელა იცლებოდა კიდეც აქტიური სამუშაო ძალისაგან. ახლა პრინციპულ შემობრუნებას ვხედავთ. ამის კარგი მაგალითია ის, რაც ხდება სამედიცინო სისტემაში, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში, ასევე მშენებლობაში. ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება იცვლება, ახლა ყალიბდება და ფოკუსირებულია ადამიანზე.

მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ გავიაზროთ რაც ხდება, არის ორი — 1. ინსტიტუციები, რომლებიც ახორციელებდნენ ამ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, ძველია, არაფერი შეცვლილა. არადა, მათი მიზანდასახულობები აშკარად იცვლება. 2. ძალიან სუსტია ხელისუფლების აღმასრულებელ შტოსა და საზოგადოებას შორის კავშირურთიერთობა. კი შეიმჩნევა, ამ ინსტიტუტებისადმი საკმაოდ მაღალი ნდობის ხარისხი, მთავრობა მაქსიმალურად უწყობს ხელს საზოგადოებას არსებული პრობლემების გადაჭრაში, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიმართულებით, რასაც პიარს ეძახიან, ძალიან სუსტი მდგომარეობაა. ხალხს ეუბნებიან, რომ წელს ხორბლის უხვი მოსავალია, ხალხს კი უნდა უთხრა ჰექტარზე რამდენია მოსავალი. სულ რამდენ ჰექტარზე იყო დათესილი და ვინ დგას ამ ჰექტარების უკან, რა მდგომარეობაა მეცხვარეობაში, ანაც სხვა სფეროებში. როცა ამას ვერ ეუბნები და ბრალდებებზე პასუხის გაცემაზე ხარ გადასული, არც ის უნდა გიკვირდეს, რომ ხალხმა არ იცის თუ რა ხდება ქვეყანაში.

თუ დააკვირდებით, ტელევიზიებისა და საერთოდ პრესის მდგომარეობა ძალიან გართულებულია. ჩვენში მიმდინარე ფულის რაოდენობა შემცირდა, ტვ-ებს გაუჭირდათ. მედიისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია მედიაში წარმართული ფულის შემცირება. თანდათან ყალიბდება სატელევიზიო ბაზარიც. ჩვენ რომ იმ რაოდენობის ტელევიზიები არ გვჭირდება, ახლა რომ გვაქვს, ნებისმიერი ადამიანი გეტყვით. ჩვენი ზომის ქვეყნებში, სლოვაკეთში, სერბეთში 2-3 არხი მუშაობს და ხალხიც მშვენივრადაა გათვითცნობიერებული. მედიაში, რომელიც ხელოვნურად იყო ეფექტური, ზედმეტი კაპიტალის შედინება მცირდება. ეს კაპიტალი თავისი პოზიციების დათმობას არ აპირებს. იმაში, რომ ტელევიზიები დღევანდელ ხელისუფლებას არ სწყალობენ, არის გარკვეული ობიექტური მარცვალიც. მე ვერ ვიტყვი, რომ ტვ-ები ხელისუფლებას ებრძვიან, მაგრამ მას რომ ღიად მხარს არც ერთი არ უჭერს, ასეც არ არის.

— არ ცხრება კამათი კონკურენციის სააგენტოს მიერ მსხვილი ნავთობიმპორტიორი კომპანიების დაჯარიმებასთან დაკავშირებით. სააგენტომ 5 კომპანია ჯამში დაახლოებით 55 მილიონი ლარით დააჯარიმა. დაჯარიმებულები მომხდარს აპროტესტებენ და სააგენტოს წინააღმდეგ საჩივრის შეტანას გეგმავენ. ფაქტია, რომ ამ სფეროში ვითარება მარტივად სულაც არაა. მაშინ როცა მსოფლიოში ფასები ნავთობზე მნიშვნელოვნად ეცემა, საქართველოში მათზე ფასი ხშირ შემთხვევაში სიმბოლურადაც კი არ იკლებს. კონკურენციის სააგენტოს დასკვნა იმაზე მეტყველებს, რომ ნავთობის იმპორტიორების საქმიანობა აბსოლუტურად არაა გამჭვირვალე, ანუ მონოპოლიები და კარტერული გარიგებები, რაზეც არჩევნებამდე ექს-პრემიერი ივანიშვილი საუბრობდა, კვლავაც არსებობენ და არა მარტო ამ სფეროში, მაგალითად, იგივე ფარმაცევტულ სფეროშიც და მათ წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლა ეფექტურობით ნამდვილად არ გამოირჩევა. თქვენი აზრით, რატომ?

— საქმე ის არის, რომ ინსტიტუციები არ შეცვლილა. ერთადერთი ახალი ინსტიტუცია გახლავთ ანტიმონოპოლიური სამსახური. მისმა შექმნამ უკვე შედეგი გამოიღო. ამ სამსახურის შექმნამ უკვე სხვა თვალით დაგვანახვა კონკურენტული ბაზარი. ის ფაქტორები და არაფორმალური ინსტიტუციები, რომლებსაც შეეძლოთ კარტერული გარიგებები გაეკეთებინათ ცალკეულ პროდუქციაზე, მაგალითად ალკოჰოლზე, ფარმაცევტულ ნაწარმზე, ყავაზე, ან სარეცხ საშუალებებზე, ანდა იგივე შოკოლადის ბაზარზე — ამ სფეროებში ეს ნელ-ნელა შემცირდა. 2 წლის განმავლობაში ყავის ფასი საგრძნობლად დაეცა, შეიცვალა სარეცხი საშუალებების ფასებიც. მოსალოდნელია არყის ფასის კლება, რაც გამოიწვევს ქართული არყის ფასის ზრდას.

ცუდი პიარის მიუხედავად, ანტიკორუფციული სამსახურის საქმიანობამ თვალნათელი გახადა მონოპოლიებთან დაკავშირებული პრობლემები. მიმაჩნია, რომ ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ ამ სამსახურის მუშაობას, რათა მათ ამ სფეროში აქტიურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. მათი ვალდებულება კარტერული გარიგებების მარტო გამოვლენა კი არ არის, არამედ ხელშეწყობა ცალკეული ფირმებისათვის, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე გასვლას ცდილობენ. ანტიმონოპოლიური სამსახური საჭირო ინსტიტუციაა და თუ მას გამართული მუშაობის საშუალება მიეცა, იგი კარგ საქმეებს გააკეთებს.

კობა გენდელიანი

◎ ალიან-ჩალიანი

მედიკამენტებზე შემოდგომიდან ფასების შემცირება იგეგმება

გუშინ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, შესაბამის გეგმაზე უწყება უკვე მუშაობს.

მინისტრის განმარტებით, 200-ზე მეტი დასახელების პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე ფასების შემცირება შემოდგომიდან იგეგმება.

„მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა დღეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ჯანდაცვის სისტემაში. ვფიქრობ, ეს მოხერხდება პირველადი მოხმარების ე.წ. ესენციურ მედიკამენტებზე ნაბიჯ-ნაბიჯ. ეს დაიწყება გეგმის მიხედვით შემოდგომიდან, როდესაც 200-ზე მეტ ძირითად მედიკამენტზე მოვახერხებთ ფასების დაწევას. ამის მიღწევის ინსტრუმენტები არის ორი: კონკურენციის გაზრდა და მეორე — ხარისხის სისტემის მწყობრი სისტემის უზრუნველყოფა, რომ იაფიანმა, მაგრამ შესაბამისად უხარისხო მედიკამენტებმა არ დაიკაონ ეს ნიშა. ამასთან დაკავშირებით გვაქვს გეგმა“, — განაცხადა სერგეენკომ.

3,348 თეთრით გაიზარდა

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი დღგ-ს გარეშე, 3,348 თეთრით გაიზარდა. შესაბამისი გადაწყვეტილება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

„ენერგო-პრო ჯორჯია“ ტარიფის ზრდას 4,8 თეთრით ითხოვდა, თუმცა, კომისიამ ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინა.

როგორც „ენერგო პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მოადგილემ მიხეილ ბოცვაძემ განაცხადა, კომპანიისა და სემეკის პროგნოზები ერთმანეთისგან განსხვავდება და „ენერგო პრო ჯორჯია“ იძულებული გახდება რამდენიმე თვეში კვლავ შემოიტანოს განაცხადი ტარიფების ზრდასთან დაკავშირებით.

სემეკის მიერ დღეს დადგენილი ტარიფი კი მიმდინარე წლის პირველი აგვისტოდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით პერიოდში იმოქმედებს.

ინტერპრესი

◎ კონკურენტული გარემო

ახლა ამათი ჯარიმები ჩვენ თუ უნდა ვიხადოთ!..

კონკურენციის სააგენტო, ბოლოს და ბოლოს, „უძრაობის ხანიდან“ გამოვიდა და, როგორც იქნა, აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. იმას, რაც ჩვენში ნავთობპროდუქტების სამომხმარებლო ბაზარზე ბოლო წლების მანძილზე ხდება, დიდი ხანია „უმსგავსობაც“ აღარ არის, იმპორტიორთა გაუთავებელი თავის მართლებისა და ხალხის თვალის ასახვევად შიგადაშიგ გამართული საქველმოქმედო აქციების მიუხედავად, ამას მომხმარებელთა მოურიდებელი ყვლეფა ჰქვია.

ჰოდა, აი, როგორც იქნა, ახლადამოქმედებულმა კონკურენციის სააგენტომ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევის გამო და ამავე კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების იმპორტიორი რამდენიმე დიდი და მცირე კომპანია სოლიდური თანხებით დააჯარიმა. სანქციები გატარდება ხუთი ყველაზე დიდი ნავთობპროდუქტების იმპორტიორი, და რამდენიმე ათეული პატარა-პატარა კომპანიის მიმართ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი ბარბაბაძემ, კერძოდ, განაცხადა:

— მოქმედებდა ხელოვნური ბარიერები იმპორტში, იზღუდებოდა წარმოება და მოქმედებდა შეთანხმებული ფასი. აქედან გამომდინარე, ბაზრის მთავარ სუბიექტებს, სახელდობრ „ვისოლს“, „ლუკოილს“, „რომპეტროლსა“ და „გალფს“, ასევე სამ ეკონომიკურ აგენტს, რომლებსაც აღნიშნულ კომპანიებთან ძალიან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდათ, დაეკისრათ შესაბამისი სანქციები.

კონკურენციის სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კანონის მოთხოვნათა დარღვევისთვის ჯარიმები, კერძოდ, დაეკისრათ: **„ლუკოილს“ (4 მილიონ 740 ათასი ლარი), „ვისოლს“ (10 მილიონ 426 ათასი ლარი), „რომპეტროლს“ (10 მილიონ 885 ათასი ლარი), „გალფს“ (11 მილიონ 267 ათასი ლარი) და „სოკარს“ (14 მილიონ 381ათასი ლარი)**. ამის გარდა, საჯარიმო სანქციები ასევე გაუტარდება სამ ათეულზე მეტ პატარა კომპანიასაც, რომელიც ნავთობპროდუქტების ბაზარზე მოქმედებდა — თითოეული მათგანი 200-200 ათასი ლარით დაჯარიმდა.

მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნა საკმაოდ მოცულობითია — მისი 50 ტომი 1100 გვერდს შეიცავს, რაც რვათვიანი მუშაობის შედეგია და 2008-14 წლების პერიოდს მოიცავს. ამასთან, ფაქტობრივად, ეჭვი არ არის, რომ დაჯარიმებული ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანიები კონკურენციის სააგენტოს დასკვნას სასამართლოში გაასაჩივრებენ, ვინაიდან, მათ წარმომადგენელთა განცხადებით, კანონმდებლობის დაცვით მოქმედებდნენ.

ამჟამად ცნობილია, რომ ჯარიმების თაობაზე კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას კომპანიები „ვისოლი“, „სოკარი“, და „გალფი“ აპირებენ. ამასთან, დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ სხვა დასჯილებიც შეუერთდებიან.

— ნავთობპროდუქტების იმპორტიორებს მიაჩნიათ, რომ „კონკურენციის შესახებ“ კანონი არ დაურღვევიათ, ამდენად შესაბამის გადაწყვეტილებას ინდივიდუალურად მიიღებენ და ბრძოლას სასამართლოში განაგრძობენ, რადგან წარდგენილი ბრალდებაც და საჯარიმო სანქციებიც საკმაოდ მძიმეა, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ **ვანო მთვრალაშვილმა**.

არადა, ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, კონკურენციის სააგენტოს მიერ ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანიების ბოლო წლებში კარტელური შეთანხმებით დაწესებულ ფასებთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკვლევა უაღრესად საფუძვლიანია, რომლის მსგავსი ჩვენში არც არასდროს ჩატარებულა. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ იმპორტიორებსა და სააგენტოს დავის სასამართლოში წარმართვისას, ის უკანასკნელი თავის პოზიციის და გამოტანილი დასკვნების სისწორეს დამაჯერებლად დაიცავს.

ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ნავთობპროდუქტების დიდი იმპორტიორი კომპანიების მიერ საწვავის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებით კარტელური ფასების შეთანხმების მოშლა, რომელსაც, ნებსით თუ უნებლიედ, მათზე დამოკიდებული „წვრილფეხობაც“ იყო აყოლილი, მომავალში მასზე ფასების მსოფლიო ბაზრის განვითარებულ ტენდენციებთან შესატყვისობაში მოიყვანს, რაც წინა წლებში, ფაქტობრივად, არ იგრძნობოდა. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ ჩვენში საწვავის ფასის აწევ-დაწევა ისევე საგრძნობი იქნება, როგორც უცხოეთში, რისი პრაქტიკა ჩვენში წინა წლებში, ფაქტობრივად, არ არსებობდა, რის თაობაზე კრიტიკული შენიშვნა არაერთგზის გამოგვითქვამს, თუმცა კი, ყოველგვარი შედეგის გარეშე.

ამასთან, უდავოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაფერი ასე ცალსახად არ არის და ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები რჩება. მაგალითად, ექსპერტი გია ხუხაშვილი იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ საჭიროა ამ ტიპის შეთანხმებების პრევენცია, რისთვისაც, ჩვენი აზრით, აუცილებელია მომავალში მათი თავიდან აცილების მექანიზმის შექმნა. ამავე დროს იგი იმასაც აღნიშნავს, რომ გაურკვეველია, თუ როგორ გამოითვალეს კომპანიებზე დაკისრებული ჯარიმების ოდენობა, თანაც შიშობს, რომ ჯარიმების თანხების გადახდის შემთხვევაში, კომპანიები თანხებს ხარჯის ნაწილით გაატარებენ, შესაბამისად მათ საწვავის ფასში ასახავენ, რასაც, შესაძლოა ფასების გაზრდაც კი მოყვეს. შემდგომში ამგვარი კოლიზიების თავიდან ასაცილებლად კი, მათ პრევენციას ალტერნატივა არა აქვს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ექსპორტი

ჩვენებური ღვინის დესანი ჩინეთში

ქართული ღვინის ექსპორტს ბოლო წლებში მზარდი ტენდენცია აქვს ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. აბსოლუტური გამოხატვით ზრდის მასშტაბი მაინცდამაინც დიდი არ არის, მაგრამ თავად სტაბილური ზრდის ტენდენცია, იმპორტის გონივრულ სტრატეგიასა და ეფექტიან რეკლამასთან ერთობლიობაში, სამომავლოდ კარგ პერსპექტივებს წარმოაჩენს. ამასთან აღსანიშნავია, ისიც, რომ ჩვენებური ღვინის პოპულარობა მსოფლიოს უდიდეს ჩინეთის ბაზარზეც იზრდება, რის დასტური ცოტა ხნის წინათ საჯანგის პროვინციის ქალაქ იუს ცენტრში ქართული ღვინის სახლის გახსნა გახლდათ.

— ქართული ღვინო გამორჩეულია თავისი უნიკალური თვისებებით, ჩვენში თვრამეტი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო და ერთი გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტი — ჭაჭა იწარმოება. ჩინელი მომხმარებლისთვის ჩვენ შეგვიძლია თეთრი, წითელი და ვარდისფერი ღვინოების ფართო არჩევანის შეთავაზება. მეტად სასიხარულოა, რომ ჩინეთში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა იზრდება. იმედი გვაქვს, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩვენს ორ ქვეყანას შორის შემდგომში კიდევ უფრო აქტიური გახდება, — განაცხადა ქალაქ იუში ქართული ღვინის სახლის გახსნაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ოთარ დანელიამ**. მისივე თქმით, საქართველოდან ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ლომის წილს — 93 პროცენტს — სწორედ ღვინო შეადგენს. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოდან ჩინეთში დაახლოებით მილიონი ლიტრი სხვადასხვა ტიპისა და დასახელების ღვინის ექსპორტი განხორციელდა. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობათა გაფართოება. იმის გათვალისწინებით, რომ ღვინო ქართული ეროვნული კულტურისა და ისტორიის განუყოფელი ნაწილია, მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთის ბაზარზე იგი ღირსეულად იყოს წარმოდგენილი.

ქალაქ იუს ქართული ღვინის სახლში მშრალი, ნახევრადმშრალი და ნახევრადტკბილი ღვინოების დაახლოებით ოცდაათი სახეობაა წარმოდგენილი. თავად ქართული ღვინის სახლის მეპატრონე კი ჩინელი ბიზნესმენი ჰია ოჯუნია, რომლის კომპანია ბოლო 13 წელია ჩინეთ-საქართველოს მიმართულებით ტვირთების გადაზიდვას ეწევა. მისი თქმით, სამშობლოში ქართული ღვინის სახლის გახსნა მას მისმა უნიკალურობამ და გამორჩეულად საუცხოო გემომ გადააწყვეტინა. იგი დარწმუნებულია, რომ ქართულ ღვინოს ჩინეთის საომომხმარებლო ბაზარზე დამკვიდრების დიდი პოტენციალი აქვს. ბატონ ოჯუნის სამომავლო გეგმებშია ასევე ქართული ღვინის სახლების ჩინეთის სხვა დიდ ქალაქებში — შანხაიში, ჰანჯოუში, ჯინჯოუსა და ნიანჯოუში გახსნა. ამასთან, მეტად საგულისხმოა, რომ იგი ქართული ღვინის მუზეუმის შექმნასაც აპირებს, სადაც თანამემამულეებს ჩვენებური ვაზისა და ღვინის უძველესი ისტორიისა და კულტურის გაცნობა შეეძლებათ.

პირველ ეტაპზე საქართველოდან ჩინეთში 100 ათასი ბოთლი ღვინის გაგზავნაა დაგეგმილი, აგვისტოში კი ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტით დაინტერესებული დაახლოებით ოცი იქაური ბიზნესმენი გვესტუმრება, რომლებიც სამამულო ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის კონკრეტულ გეგმებს დასახავენ.

დალი ხუნდაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ბრიუსელში

ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში, ელჩების დონეზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მონაწილეობით, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები, საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო და საქართელოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. მოკავშირეებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს მიერ რეფორმებში მიღწეული პროგრესი. მათ მადლიერება გამოხატეს საქართველოს მიმართ საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის როგორც ნატო-ს, ასევე ევროკავშირის ოპერაციებში მონაწილეობით.

მათივე ინფორმაციით, მუდმივმა წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებისადმი, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი და აღნიშნეს, რომ ალიანსი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

შეხვედრისას განიხილეს რუსეთის ფედერაციის ნაბიჯები საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართ, კერძოდ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საოკუპაციო რეჟიმებთან რუსეთის ფედერაციის მიერ ე.წ. შეთანხმების ხელმოწერით და ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესის გაგრძელებით წარმოქმნილი საფრთხეები და გამოწვევები. მოკავშირეებმა შეშფოთება გამოთქვეს მეზობელი ქვეყნების მიმართ რუსეთის ფედერაციის აგრესიული და უკანონო პოლიტიკის გამო. შეხვედრის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ ნატოს მხარდაჭერა და არაღიარების პოლიტიკისადმი ერთგულება.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის გამართვამდე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილისა და ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუს შეხვედრა შედგა.

ინტერპრესი

SOS!

რა დროს ქსოვაა, დეპოში შევდივართ, გრიშა ბიძიებო!

გამოაფხიზლეთ უშიშროების საბჭო და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი!

„თბილისი-გორის ავტომაგისტრალამდე 400 მეტრია დარჩენილი, ნახეთ, რაც ხდება საქართველო-სომხეთის საზღვართან და ამ დროს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო არც შეკრებილა. გამაგებინეთ, რისთვის არსებობს ეს უწყება, რა ფუნქცია აქვს უშიშროების საბჭოს, თუ ასეთ ვითარებაში არ შეიკრიბება?! რას აკეთებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი?!“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია, რომელიც თვლის, რომ რუსეთი საქართველოს ლიბანიზაციის სცენარის განვითარებით ემუქრება.

— საქართველოს საზღვრებთან განვითარებული მოვლენები, — ამბობს იგი, — პირდაპირ უკავშირდება იმ გეოპოლიტიკურ პროცესებს, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ვითარდება. რუსეთის მიზანია გორი-თბილისის მაგისტრალის ხელში ჩაგდება.

— ამ შემთხვევაში შეძლებენ რუსები გორი-თბილისი მაგისტრალის ხელში ჩაგდებას?

— 400 მეტრი დარჩა თბილისი-გორის ავტომაგისტრალამდე. ეს უკვე პირდაპირი მუქარაა, რომ ჩვენ მოვედით ამ წერტილამდე და იქამდეც მივალთ. სწორედ, ამასთან არის კავშირში საქართველო-სომხეთის საზღვართან მიმდინარე პროცესები, ეს არის მიზანმიმართული და კომბინაციური სვლა. სომხეთი და რუსეთი დაინტერესებული არიან, რომ საქართველოს გავლით მომარაგდეს სომხეთში რუსული სამხედრო დაჯგუფება. ასევე, რუსეთმა შეძლოს ასადის რეჟიმის შეიარაღებით მომარაგება. ამ კონტექსტში საინტერესოა ისიც, რომ სიტუაცია იძაბება რუსეთსა და თურქეთს შორის. თურქეთი ემზადება იმისთვის, რომ შეიჭრას სირიაში. ასადის რეჟიმის დამხობა კი კრემლის ინტერესებში არ შედის. თუ ასადის რეჟიმი დაემხო, კრემლი კარგავს ყველაფერს.

— თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ინტერესებს, თურქეთი შეძლებს სირიაში შეჭრას?

— თურქეთი არის ნატოს წევრი, მეტიც, თურქეთში არის ამერიკული სამხედრო ბაზა. თურქეთმა არაერთხელ განახორციელა ასეთი რეიდები, თუმცა, მაშინ სხვა ვითარება იყო, დღეს სხვა ვითარებაა. თურქეთისთვის ახლა მთავარია, დაარტყას ქურთისტანის დაჯგუფებას. შესაბამისად, რუსეთი ცდილობს, რომ შეიარაღებით და სამხედრო მოხალისეებით გააძლიეროს ასადის რეჟიმი. ამისთვის მას საქართველო სჭირდება როგორც ტრანზიტი.

— და ამის გაკეთება არ შეუძლია ზღვიდან, ან თუნდაც ჰაერიდან?

— შეუძლია, მაგრამ ჰაერიდან და ზღვიდან სირიის მომარაგება ძალიან ძვირია. მაგალითად ჰაერიდან სამხედრო თვიმფრინავის, თუნდაც იგივე ჯავშანმანქანების ტრანპორტირება სულ მცირე 5-დან 20 მილიონ დოლარამდე ჯდება. ასე რომ, შემთხვევითი არ იყო საქართველო-სომხეთის საზღვართან, სოფელ საზაქენდში 10 ჰექტარით საზღვრის გადმოწევა. ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ რუსეთის ინტერესია სამხედრო ტრანზიტის ხელში ჩაგდება. რუსეთი ცდილობს, საქართველოს ტერიტორიით გაატაროს ის შეიარაღება და სამხედრო კომპონენტი, რომელიც მათ სჭირდებათ.

აქედან გამომდინარე, რამდენად დროულია კონგრესში საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე მსჯელობის დაწყება? როგორც აშშ-ის ყოფილი ელჩი აცხადებს, კონგრესი იწყებს მსჯელობას საქართველოსთვის იარაღის მიწოდების აუცილებლობაზე...

— რუსეთი დაგვემუქრა ლიბანიზაციის სცენარის განვითარებით და ამ ვითარებაში მარტო დეკლარაცია პროცესს არ უშველის. საქმე უკვე მივიდა რეალურ სამხედრო კონფრონტაციამდე. კარგია, რომ ამ საკითხზე იწყებს კონგრესი მსჯელობას, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მხოლოდ კონგრესის გადაწყვეტილება არ არის მთავარი, მთავარია, რამდენად დაუჭერს მას მხარს ამერიკის ადმინისტრაცია.

— ვიცით, რომ ობამამ ვეტო დაადო კონგრესის გადაწყვეტილებას უკრაინისთვის იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით. არა მგონია, რომ საქართველოსთან მიმართებაში სხვა პოზიცია გამოხატოს. საქართველოსთვის იარაღის გადმოცემა კარგი იქნებოდა მანამ, სანამ მოხდებოდა მცოცავი ოკუპაცია. არავინ იცის, რუსები როდის წამოგვიყენებ ულტიმატუმს — ან გაგვატარეთ, ან ჩვენ დავიკავებთ თბილისი-გორის მაგისტრალსო.

— ფიქრობთ, რომ რუსეთი ასეთ ღია ულტიმატუმზე წამოვა?

— რა თქმა უნდა. რატომ არ დააყენებს ულტიმატუმს, მოერიდება თუ რა? ის არის აგრესიული ქვეყანა. საკმაოდ აჟიტირებულია, ალყაშემორტყმულია, ყველანაირად ავიწროებენ მის ინტერესებს, ამიტომ რუსეთი ვა-ბანკზე მიდის. სამხედრო მომზადების რელსებზე გადავიდა, ემზადება სამხედრო კონფლიქტური სცენარის განვითარებისთვის. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ რთული ვითარებაა.

— ამ ფონზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველო არ წამოეგოს პროვოკაციას, თუმცა, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით უზრუნველყოს ოკუპაციის პროცესის შეჩერება...

— აქ უკვე პროვოკაციებზე არ არის საუბარი. აქ უკვე საუბარია ულტიმატუმზე.

— თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქმედებით არ მივცეთ ესკალაციის საფუძველი...

— ბუნებრივია, მაგრამ რუსეთი მაინც წამოგაგებს პროვოკაციაზე, რაშიც ისინი პროფესიონალები არიან. ჩვენ ეს მომენტი უნდა გავითვალისწინოთ. ძალიან რთული ვითარებაა. საქართველოში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ თითქოს არაფერი არ მომხდარა, აგერ ჩვენი პრეზიდენტი ყაზბეგში ისვენებს. რა დროს დასვენება და ქსოვის დროა, როდესაც ასეთი რთული ვითარებაა შექმნილი?!

თამთა ქარჩავა

SIC!

გასდით და იმაღაც ტირიან!

ანუ როგორ გეგმავენ ნაციონალები 2008 წლის ომის გამეორებას

როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გამგეობის თავმჯდომარეს სანდრო ბარნოვსა და ადგილობრივ სამართალდამცველებს შორის საოკუპაციო ხაზთან მწვავე საუბარი გაიმართა. მას აინტერესებდა, რატომ დართეს ნება ქართველმა პოლიციელებმა რუს და ოს სამხედროებს, ქართული დროშა წაელოთ.

„დროშა რომ იყო აქ, საქართველოს სახელმწიფო დროშა, სად არის, თქვენ რას მიკეთებთ, მიპასუხე, თუ თქვენ ტერიტორიას იცავთ, ამიხსენით, როგორ გადმოიარა ეს ტერიტორია რამდენიმე მთვრალმა რუსმა? სად არის სპეცრაზმი? ვის ატყუებთ? თქვენ რომ გესაუბრებით, მივმართავ იმ დამპლებს და არარაობებს, რომლებიც დასხდნენ და ვითომ ხელისუფლებას წარმოადგენენ. თავხედები ეგენი, ნაბიჭვრები მართლა. ამის დედაც ვატირე, ეს შეიძლება?!“ — ღრიალებლა ანდრო ბარნოვი და შეურაცხყოფდა ქართულ პოლიციას.

„რეპორტიორს“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კარლო კოპალიანი ესაუბრა:

— ანდრო ბარნოვი არის ის, რასაც წარმოადგენს მთელი ნაციონალური მოძრაობა, საკუთარი თავის რეანიმიაცია სურს, მოუნდა გმირად იქცეს. გარეწარია ეს ადამიანი და მისნაირი გარეწრების ქმედებებს ყურადღებაც არც უნდა მიაქციოს საზოგადოებამ.

ზოგადად, პარტია ნაციონალური მოძრაობის მიზანია, ქვეყანაში სიტუაცია არიოს. ცდილობენ დესტაბილიზაციის გამოწვევას, რომ მერე ხელისუფლებაში მობრუნდნენ. ყველა ხერხს მიმართავენ და დამატებით კიდევ, არავინ იცის, რა მოიხარშება ამათ ტვინებში და კიდევ ის რას მოიფიქრებს, მამამთავარი რომ ჰყავთ, ნამდვილი ფიურერი ოდესაში, ესაა მთავარი.

— ბატონო კარლო, ნაციონალური მოძრაობა რომ ამდენს ბედავს დღესაც კი, ვისი დამსახურებაა ეს?! რატომ აბედვინებთ ამდენს, როცა იცით მათი მიზნების შესახებ? — ეს არის კითხვა, რომელიც მკითხველის დიდ ნაწილს აწუხებს და ხშირად სვამენ ამ კითხვას საჯარო სივრცეში... დამნაშავეები რომ დასჯილიყვნენ, ვინმე ამდენს გაბედავდა?

— გეთანხმებით! უწინარესად, შესასწავლია, რა მოხდა საზღვრისპირა სოფლებში, ნაციონალები ყველანაირ პროვოკაციაზე წავლენ, პარლამენტშიც პარასკევს რომ საუბრობდნენ, ცდილობდნენ, როგორმე გაემწვავებინათ სიტუაცია, რომ ერთმა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოს ომი გამოუცხადოს და ის მივიღოთ, რაც მათ მიიღეს 2008 წელს, მათივე უჭკუო ქმედებით.

მათი მთავარი მიზანი ახლა არის, რომ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ. ამას არიან მიჩვეული მთელი ამ წლების განმავლობაში, მაგრამ არ გამოუვათ. საკმაოდ ცივი გონებით უყურებს ჩვენი ხელისუფლება ამ ყველაფერს და არც ერთ პროვოკაციაზე არ წამოეგება.

ნაციონალური მოძრაობა 2012 წლის მერე გაღიზიანებულია, ვერ არის ფორმაში და ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. მათ 100 წლით ჰქონდათ მოწყობილი ცხოვრება და არა ქვეყნის მდგომარეობა, და ეს დაწყობილ-დალაგებული ცხოვრება რომ დაემხოთ თავზე, ეს რომ ერთმა კაცმა გააკეთა, ამის მერე ვერ არიან ჭკუაზე. ზოგადად, ამ პოლიტიკურ ძალაზე საუბარიც არ შეიძლება, იმიტომ, რომ მკვდარია თითქმის.

მე არასდროს ვყოფლივარ კოჰაბიტაციის მომხრე. ესენი უნდა დასჯილიყვნენ! კონკრეტულად ანდრო ბარნოვი, შესაძლოა, არც იყო დამნაშავე და მარტო პოლიტიკური სიმპათიების გამო ციხეში ვერ ჩავსვამთ, მაგრამ, თუ ის დამნაშავე იყო და რამე დანაშაული ჩაიდინა, მაშინ ესეც უნდა დაისაჯოს და მერწმუნეთ, რომ დამნაშავე ნაციონალების დასჯის საკითხი არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან! როგორც ძველმა რომაელებმა თქვეს, ქვეყანა რომ დაიქცეს, სამართალი უნდა აღსრულდეს და ამ ქვეყანაში სამართალი უნდა აღსრულდეს!

— და, როგორ წარმოგიდგენიათ ამ სამართლის აღსრულება მაშინ, როცა საქმეებს არ იძიებენ ისე, როგორც ამას საზოგადოება ითხოვს? ბატონი კაციტაძე რომ ხუთ-ხუთი საქმით გამოდის და თავს გვახსენებს, ეს თქვენთვის საკმარისია?

— რამდენიმე დღის წინათ შევხვდით ირაკლი ღარიბაშვილს. მან დაასახელა 11 საქმე, რომელიც ბოლომდეა მიყვანილი და დაზარალებულებს დაუბრუნდებათ წართმეული ქონება. ჩვენ ეს არ გვაკმაყოფლებს, მაგრამ სტარტს იღებს ეს განყოფილება და მე ველი, რომ ყველა ის ადამიანი, ვისაც დანაშაული მიუძღვის, დაისჯება.

— როგორ წარმოგიდგენიათ დამნაშავეების დასჯა, როცა ერთ-ერთ მთავარ დამნაშავეს თავად ქვეყნის პირველი პირი ხვდება და მას სამართლიანობის გარანტად იხსენიებს?

— ვინ შეხვდა ასეთი?

— ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. წესით, უნდა გქონდეთ ეს ინფორმაცია. უფრო ადრე, ექს-პრემიერი შეხვდა ამავე ადამიანს და შეხვედრის მერე განაცხადა, ერთი წესიერი კაცი გავიცანი, ლევან მურუსიძის სახითო... ეს მაშინ, როცა ყველამ კარგად ვიცით ამ ადამიანი „წესიერების“ შესახებ — გირგვლიანის და მოლაშვილის საქმეებით დაწყებული...

— მურუსიძე თანამდებობის პირია და შესაძლოა, ისეთი საკითხები იყო განსახილველი, რომელიც ქმნიდა აუცილებლობას, მას შეხვედროდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ლევან მურუსიძე ნამდვილად არ არის წესიერი კაცი, ისიც ვიცი, რა დანაშაულებში აქვს მონაწილეობა მიღებული. მე ამ კაცის მიმართ ასეთი შეხედულება არა მაქვს.

დიანა ლიპარტელიანი

ალიან-ჩალიანი

არანაირი საზღვარი გადმოწეული არ არის, საქართველოსა და რუსეთის შორის საზღვარი როკის გვირაბთან გადის

საქართველოსა და რუსეთს აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ სად გადის საზღვარი და ვინ როგორ უნდა იქცეოდეს , — ამის შესახებ, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე კომენტირებისას განაცხადა. მისივე განმარტებით, არანაირი საზღვრის გადმოწევა არ მომხდარა.

„არანაირი საზღვარი არ არის გადმოწეული, საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვარი გადის როკის გვირაბთან. ამას აღიარებს საერთაშორისო თანამეგობრობა, გამონაკლისი კი მხოლოდ რუსეთი და ერთი ორი ქვეყანაა. რაც შეეხება საოკუპაციო ზოლზე ბანერის დაყენებას, ჩვენ ამის თაობაზე გავაკეთეთ განცხადება, მწვავე საუბრები იყო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, შეძლებისდაგვარად პრაღის ფორმატი გამოვიყენეთ ამისთვის, თუმცა, ფაქტია, რომ ჩვენ და რუსეთს გვაქვს აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა იმის თაობაზე, თუ სად გადის საზღვარი და ვინ როგორ უნდა იქცეოდეს“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

ინტერპრესი

◎ გვიმრავლოს!

ერის გაძლიერების საწინდარი

ცხრა და-ძმა ჯაბანიშვილი

საქართველოს მოსახლეობის შობადობის ზრდის ტემპი საგრძნობლად მცირდება. ამას არა მარტო დაბალი ეკონომიკური ვითარება განაპირობებს, არამედ ჩვენი ხალხის აქტიური გასვლა საზღვარგარეთ სამუშაოდ. ამიტომ გადავწყვიტე დამეწერა ფშავის (დუშეთის რაიონი) შუაფხოს საკრებულოს სოფელ თხილიანის მკვიდრთა — ზაზა ჯაბანიშვილისა და ირმა ცქიფაშვილის მრავალშვილიან, მართლაც სამაგალითო ოჯახზე. აქ ცხრა შვილი იზრდება — ორი ვაჟი და შვიდი გოგონა: ბაბალე (ბარბარე), იოსები, მარიამი, სალომე, თინათინი, ჯაბა, ნინო, ნაზი და ელენე... უფროსი — 13 წლისა, უმცროსი ახლა იდგამს ფეხს... ამ ბავშვებთან შეხვედრა, მათი ხმების მოსმენა თავისებურად შთაგვაგონებს არა მარტო ამ ოჯახის, არამედ თვით საქართველოს უკვდავებას, მარადისობას...

შუაფხოს (უკანა ფშავის) საკრებულოში სოფ. თხილიანის გარდა, კიდევ 12 სოფელია. სამწუხაროდ, მათგან ორი — ახადი და ბინდაურთა უკვე დაცარიელებულია, ამ ათიოდე წლის წინათ ახადში ჯერ კიდევ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მათ ჰპირდებოდნენ, რომ არაგვისპირიდან სოფლამდე სამანქანე გზას მიუყვანდნენ, რაც არ გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ ახადი ტრაგიკულად დაღუპული ცნობილი პოეტის მიხა ხელაშვილის მშობლიური სოფელია და იქ მისი ნასახლარის აღდგენას, სახლ-მუზეუმის შექმნასაც ვარაუდობდნენ, საქმე ვერც ერთმა გამგებელმა ვერ მიიყვანა ბოლომდე. იქნებ ამ საქმეს დუშეთის დღევანდელმა ხელმძღვანელმა ფ. ჩოხელმა მაინც მიხედოს. სოფელ ახადის დაცლაზე სპეციალურად იმიტომ შევჩერდი, რომ „ლექსო, ამოგთქომ, ოხეროს“ ავტორის უკვდავყოფაზე ფიქრი და მოქმედება ევალება არა მარტო დუშეთის გამგეობას, არამედ მცხეთა-მთიანეთის გუბერნიის ხელმძღვანელობას, საქართველოს კულტურის სამინისტროს და ბუნებრივია, საქართველოს მწერალთა კავშირსაც...

ახადში რომ სამანქანე გზა გავიდეს და იქ ტურისტულ მარშრუტში შესატანი პოეტის სახლ-მუზეუმი გაიხსნას, სოფელიც აღდგება და არც ის იქნება გამორიცხული, რომ იქ პატარძლად მოგვევლინოს ირმას და ზაზას ერთ-ერთ „მზექალად“ დაბადებული შვილი.

ადამიანის ამქვეყნად მოვლინება მოგეხსენებათ, ღვთის ნებითა და ხელდებით ხდება. ამ ღვთიურ ნებას, ტრადიციებს ერთვის ოჯახისთვის დამახასიათებელი დიდი ადამიანური სიყვარული და ერთგულება... პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ 9 და-ძმის ბებო-პაპას. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ XX საუკუნის II ნახევარში თუ ვინმე ცხოვრობდა არაგვის ხეობაში ეროვნული ტრადიციების მიხედვით, მათ შორის ერთ-ერთი იყო იოსებ ჯაბანიშვილისა და ბაბალე ნაყეურის ოჯახი. მათთან, შეიძლება ითქვას, სტუმარი გამოულეველი იყო: ნათესავები, მეგობრები, ექსკურსანტები, სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის წევრები... მათ ოჯახში ზაფხულობით დღესაც აუცილებლად შეხვდებით ახმეტელ, საგარეჯოელ, დედოფლისწყაროელ ნათესავებს, რომლებიც უკანა ფშავში ლაშარის სალოცავად მიდიან და ამ ოჯახის მოუკითხავად სოფელს არ გასცდებიან. ამიტომაც ივლის-აგვისტოში, განსაკუთრებით შაბათ-კვირაობით, ჯაბანიშვილების ოჯახს ერთდროულად სტუმრობდა მომსვლელთა 3-4 ჯგუფიც კი. იოსები გულითადად ხვდებოდა ყველას, ის იმდენს შრომობდა, რომ სტუმრისათვის ოჯახში ყოველთვის ჰქონდა წმინდის პური, დამბალ-ხაჭო და ჟიპიტაური...

ეს ტრადიციები გრძელდება. ზაზა და ქალბატონი ირმა მთელი მონდომებით შრომობენ და შეუდარებელ მაგალითს უჩვენებენ სოფელს — ირმა შუაფხოს 8-წლიანი სკოლის დირექტორია, ამავე დროს ბავშვებს ასწავლის კომპიუტერულ ტექნიკას, მართვას. მას კარგი ანაზღაურება აქვს და მთის ახალი კანონის მიღების შემდეგ ეიმედება, რომ უფრო მეტი შემოსავალი ექნება, ცალკეული შეღავათებიც არის გათვალისწინებული. ოჯახის მამა ზაზა ჯაბანიშვილი სამგზავრო ავტობუსის „შუაფხო-თბილისის“ კვალიფიციური მძღოლია. იგი უნარიანად, გულითადად ემსახურება ფშავის მოსახლეობას. იმათაც ყურადღებით უსმენს, ვინც იმ მომენტში დედაქალაქში ვერ მიდის და იძულებულია საქმის მოგვარება ზაზას მიანდოს. თითქმის ყოველი მგზავრობისას ესმის მორიდებული თხოვნა:

— ზაზა, აი, ეს რეცეპტი და ფული, შენი ჭირიმე ის წამალი დუშეთში არ ყოფილა, მაგრამ არ შეიძლება ქალაქში არ იყოს“.

— ზაზა შენ შემოგევლე, ამ კაცის (ასახელებს გვარს) ფული მმართებს, ტელეფონის ნომერს მოგცემ, ავტოსადგურში რომ მიხვალ, დაურეკე და აუცილებლად მოგაკითხავს.

— მე კიდევ ხილს გაბარებ, თუ ძალიან ძვირი არ იქნება, 3-4 კილოგრამი მიყიდე, შერჩევა შენზე იყოს...

ზაზა კი, თუნდაც ხასიათზე არ იყოს, მეზობლებს არ აგრძნობინებს, სიამოვნებით ჰპირდება და უსრულებს კიდევაც. მას თავისი ოჯახისთვისაც ბევრი რამის წამოღება უხდება. მათ შორის, ხორცის, პურის, ხილის, სათამაშოების...

ასე მიდის დღეები, წლები... ზაზა ყველას ეხმარება, ყველას ანგარიშს უწევს. ამიტომაც მას ყველა პატივისცემით ეპყრობა, მადლიერია მისი.

რაც შეეხება შვილების თხოვნებსა და დანაბარებს, ზაზასთვის აუცილებელზე აუცილებელი საზრუნავია. თუ რაიმე მისი მოტანილი ბავშვს არ მოეწონა, მზად არის, პატარა დედაქალაქში წაიყვანოს და თვითონ შეარჩევინოს რაც მოსწონს.

ზაზა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრადიციული ოჯახის შვილი და პატიოსანი კაცია. მას უდავოდ აფიქრებს ის გარემოება, რომ შუაფხოს საკრებულოს დღევანდელ სოფლებში ბევრი საქმე მოუგვარებელია. არც ერთგან მაღაზია არ არის, არც კულტურის სახლი, არც კულტურული დაწესებულება...

ერთადერთი ნორმალური შენობა შუაფხოს 8-წლიანი სკოლაა. რაც შეეხება შუაფხოს საკრებულოს შენობას, იგი უკვე მოძველებულია და შეკეთებას საჭიროებს. საკრებულოს თავმჯდომარე შალვა წითელაური საკმაოდ ენერგიული კაცია და თუ მოინდომებს, ალბათ, მოახერხებს მის გამოცოცხლებას. ამაში მას სოფელიც დაუჭერს მხარს და ზაზაც შეძლებისდაგვარად გაირჯება.

და მაინც უნდა ვთქვათ მთავარი: დღეს, როგორც ფშავის, ისე საქართველოს აღორძინებისთვის მთავარი სიმბოლოა ახალი ოჯახების შექმნა, განსაკუთრებით კი მრავალშვილიანი ოჯახების გამრავლება.

ხელისუფლების ვალია მათთვის ხელშეწყობა-დახმარება. ბევრი შვილი, ბუნებრივია, ერის გაძლიერების საწინდარია. მათ ავანგარდშია ჯაბანიშვილების ცხრაშვილიანი ოჯახი! ღმერთმა დალოცოს, ძალა და ენერგია მიანიჭოს. გვიმრავლოს!

ხვთისავარ არჩემაშვილი,
„სრ“ საკ. კორ.
თბილისი-შუაფხო.

◎ ალიან-ჩალიანი

პარლამენტმა „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონი მიიღო

პარლამენტმა მესამე მოსმენით „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტი დაამტკიცა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტით, კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში — აგრეთვე, აფხაზური. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას და სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე.



კანონპროექტი ადგენს, რომ სახელმწიფო ენაზე სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება არის საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლება; საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა, ხოლო არასახელმწიფოენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან შესაბამის კონტინგენტს შესთავაზონ სახელმწიფო ენის შესწავლის სპეციალური კურსი; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ოფიციალური საქმისწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე; სამართალწარმოებისა და საკანონმდებლო საქმიანობის ენაა სახელმწიფო ენა; საქართველოს სამხედრო და გასამხედროებულ ძალებში ოფიციალური საქმიანობა ხორციელდება ქართულ ენაზე; რეფერენდუმის, პლებისციტის და სხვა ოფიციალურ ღონისძიებათა ენა არის სახელმწიფო ენა; კონკურსებისა და ატესტაციების ენა არის სახელმწიფო ენა; აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის წარდგენა და დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ შექმნას სათანადო პირობები, სახელმწიფო ენის შესწავლისა და გამოყენებისთვის; მუდმივად იზრუნოს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე; ხელი შეუწყოს ქართველოლოგიურ და აფხაზოლოგიურ კვლევებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ყოველი საჯარო მოსამსახურე ვალდებულია ფლობდეს სახელმწიფო ენას. კანონპროექტის მიხედვით კი, ამ მოთხოვნასთან პირის შესაბამისობა დასტურდება: სახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დოკუმენტით; საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი არასახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დოკუმენტით; სახელმწიფო ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტით (სერტიფიკატით).

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალიწინებს საქართველოს მთავრობასთან საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნას. დეპარტამენტი მოიაზრება როგორც ინსტიტუცია, რომელსაც სახელმწიფო ენის ერთიანი პოლიტიკის განხორციელება, ენის განვითარებასა და შესწავლაზე ზრუნვა დაეკისრება.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წუხლოჯანი ოჯახები

● **წლეულს 5 თვეში სახელმწიფო უწყებების რეკლამებიდან მიღებული ყველაზე მეტი შემოსავალი — 376 155 ლარი „რუსთავი 2“-ს აქვს მიღებული!**

● **ნეტა იმან თუ იცის, რომ მისი მინისტრები „განსხვავებულ აქცენტებს“, „არჩევანს“, „ქერის უბანს“ და იმ გადაცემებს აფინანსებენ, სადაც იმას ლანძღავენ და დასცინიან?**

● **პიანი მასტერი მოერევა თუ ტუსკი?**

● **ებიარდზე ისეთი მაპები გაჩითულან, ნატო ყურებიდან ეწყებათ და 3 ნომერი ევრაზიული კავშირი აქვთ.**

● **როდესაც რომელიმე ერზე საუბრობენ, პირველ რიგში, მისი წარმომადგენლების მიერ მსოფლიო კულტურის დიდ საგანძურში შეტანილი წვლილი უნდა ახსენდებოდეს მეტ-ნაკლებად მოაზროვნე ადამიანს და იმის მიხედვით გამოთქვას საკუთარი მოკრძალებული თუ ხმამაღალი აზრი ამ ერის სიდიდეზე თუ სიმცირეზე.**

ამიტომაც ვიტყვი, რომ საქართველო ჩემთვის არის შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, გამსახურდია, ფალიაშვილი, ლაღიძე, ყანჩელი, ფიროსმანი, სტურუა, ზაქარიაძე.

რუსეთი არის ტოლსტოი, დოსტოევსკი, ბულგაკოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, ვისოცკი, რუბლიოვი, რეპინი, შუკშინი, სტანისლავსკი, სმოკტუნოვსკი. აშშ არის ჰემინგუეი, ლონდონი, სტეინბეკი, გერშვინი, არმსტრონგი, კუბრიკი, ნიკოლსონი. ახლა მითხარით, რომლის კულტურა უფრო დიდია (შედარებით, რა თქმა უნდა), ამ სამი ერიდან და ვინ ვის უნდა არიგებდეს ჭკუას, სამართლის ნატამალი მაინც რომ არსებობდეს ქვეყნად?

● **ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი დაგინგრევთ ოჯახს, სწრაფად, იაფად, ხარისხიანად.**

● **არჩევნებზე არც ერთ პოლიტიკოსს ავტორიტეტის გამო არ მივცემ ხმას, შევაფასებ გუნდის მიხედვით, ამოვიდა ყელში ამ ბალასტის რჩენა.**

● **სოსომ, ჩემ დროს სექსი არ იყოო!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის“ 2015 წლის 22 ივლისის ნომერში დაბეჭდილ ოთარ კაპანაძის წერილში გაიპარა რამდენიმე უზუსტობა. ვასწორებთ შემჩნეულ შეცდომებს:

1-ლი სვეტის ზემოდან 26-ე სტრიქონში უნდა იყოს: **...კონფერენციის თემაა...**

ამავე სვეტის ქვემოდან 29-ე სტრიქონში უნდა იყოს: **...დამდეგს შექმნილმა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის...**

მე-2 სვეტის ქვემოდან 25-ე სტრიქონში უნდა იყოს: **...დავით ჩუბინაშვილის...**

ამავე სვეტის ქვემოდან მე-9 სტრიქონში უნდა იყოს: **securite...**

მე-3 სვეტის ზემოდან მე-7-მე-8 სტრიქონებში უნდა იყოს: **...safety engineer, safety supervisor — უსაფრთხოების ინჟინერი (ინსპექტორი); traffic regulations — საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები...**

ამავე სვეტის ზემოდან მე-12 სტრიქონში უნდა იყოს: **...სახელწოდებანი...**

ამავე სვეტის ქვემოდან 45-ე სტრიქონში უნდა იყოს: **...გამოძიების ფედერალური ბიურო და...**

ამავე სვეტის ქვემოდან 30-ე სტრიქონში უნდა იყოს: **...მარჯვენა მეფისა ჰზრუნავს...**

◎ ალიან-ჩალიანი

პრეზიდენტმა 98 მსჯავრდებული შეინყალა

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე, შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ განაცხადა, პრეზიდენტს ხელი მოაწერა შეწყალების მორიგ აქტს, რომლის შედეგადაც 98 მსჯავრდებული შეიწყალა. აქედან, 74 დღესვე დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებს. რაც შეეხება დანარჩენ 24-ს მათ სასჯელი შეუმცირდათ.

74 მსჯავრდებულიდან, რომელიც დღეს დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებს, ერთი ქალბატონია, ორი არასრულწლოვანი. შეწყალების საკითხთა კომისიამ 17-18 ივლისის სხდომაზე სულ 589 მსჯავრებულის საქმე განიხილა. რაც შეეხება შეწყალებულებს, ქორიძის განცხადებით, შეწყალება შეეხო ისეთი ტიპის დანაშაულებს, როგორიც არის ნარკოტიკული ტიპის დანაშაული, ასევე არის მსუბუქი დანაშაულები, მათ შორის მძიმე დანაშაულიც. რაც შეეხება ძალადობრივ დანაშაულებს, ქორიძემ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევებში პრეზიდენტი მაქსიმალურად იკავებს თავს.

პატიმრის ცემის ფაქტს არ ადასტურებს

სასჯელაღსრულების მინისტრი გიორგი მღებრიშვილი გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის ცემის ფაქტს არ ადასტურებს.

როგორც მღებრიშვილმა განაცხადა, მსჯავრდებულ კორიაბოჩკინს უბრალოდ აკრძალული ნივთები აღმოუჩინეს და ამის გამო ის სამარტოო საკანში გადაიყვანეს. „მას ამოუღეს აკრძალული ნივთები და მოხდა მისი გადაყვანა სამარტოო საკანში. სხვათა შორის, ეს პატიმარი გასამართლებულია მცირეწლოვანი ბავშვის გაუპატიურებისთვის — ეს ინფორმაციისთვის რომ იცოდეთ. რაც შეეხება ცემას, ასეთი ფაქტი არ ყოფილა“, — განაცხადა მღებრიშვილმა.

ინტერპრესი

განცხადება
განმეორებითი აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 5 მაისის №5 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე“-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	მერსედეს ბენცი (ავტობუსი)	A964PO	1990	11000	1000	100	20	საბერიო
2	ზილ-131 სახანძრო	უნომრო	1989	6800	600	70	20	ჯვარი
3	უაზი მ/ა	FAH-255	1999	3500	350	50	20	ჯვარი
4	ვაზ 21213 „ნივა“	GSG-790	1998	2200	200	30	10	ჯვარი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურჰესი“, სს „პროკრედიტ ბანკის“ ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება, ბანკის კოდი MIBGGE22, ანგარიშგების ანგარიში GE59PC0173600100015015, ს/კოდი 251716371.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 24 ივლისის 10 სთ-დან 2015 წლის 31 ივლისის 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 31 ივლისს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; იურიდიული პირისათვის — ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 595 227050 , 0415 221688.

შპს „ენგურჰესის“
აუქციონის მომწყობი კომისია

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი), შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 5 მაისის №5 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ხe“-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ტოიოტა ტაკომა	SSD-242	1997	7000	700	80	20	გალი
2	შევროლე ლაცეტი	INA-411	2007	6500	600	60	20	გალი
3	ოპელ ვექტრა	VNV- 724	1998	4000	400	50	20	გალი
4	ფორდ ტრანზიტი	LIK-368	1995	6000	600	60	20	გალი
5	კაზ–4540	A 287 PO	1999	1000	100	30	10	გალი
6	გაზ 24	A 637 AH	1982	400	60	20	10	გალი
7	ოპელ ვექტრა	CAI 638	1990	2000	200	50	10	გალი
8	ა/მ კოლხა სატვირთო	A 329 PO	2000	3500	350	40	20	გალი
9	კაზ 4360 სატვირთო	A 289 PO	1998	200	20	10	5	გალი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია.

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, ს/კ 251716362

სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22; ანგ. № GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 23 ივლისის 10 სთ-დან 2015 წლის 30 ივლისის 13-სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 30 ივლისს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდად წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; იურიდიული პირისათვის — ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 577 736952, 577 434493, 595 227050

შპს „ვარდნილჰესების კასკადის“
აუქციონის მომწყობი კომისია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ნატო მიესალმება საქართველოს პროგრესს შეიარაღებული ძალების განვითარებაში

ბრიუსელში დასრულდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა

ნატო აღნიშნავს საქართველოს პროგრესს დასახული მიზნების რეალიზაციაში, მათ შორის, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში, და მოუწოდებს თბილისს განაგრძოს რეფორმები. ამის შესახებ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა განაცხადა პრესრელიზში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის შედეგებთან დაკავშირებით, რომელშიც ასევე მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

„ნატო-საქართველოს კომისიის შეხვედრაზე ალიანსის წევრი ქვეყნების ელჩები მიესალმნენ პროგრესს იმ ზომების პაკეტის რეალიზაციაში, რომლებიც გამოიგზავნა იმისათვის, რათა დაეხმარონ საქართველოს განამტკიცოს და განავითაროს შეიარაღებული ძალები და თავდაცვის სამინისტრო... ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ (ალექსანდრ ვერშბოუმ) და ელჩებმა მაღალი შეფასება მისცეს მნიშვნელოვან რეფორმებს საქართველოში და მოუწოდეს ქვეყანას განაგრძოს თავისი ძალისხმევა“, — ნათქვამია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 22 ივლისის პრესრელიზში.

კომუნიკეს თანახმად, მოკავშირეებმა საქართველოს მადლობა გადაუხადეს წვლილისათვის ნატოს სამშვიდობო მისიაში რამაც, ისევ ალიანსის შეფასების თანახმად, ხელი შეუწყო საქართველოს სამხედროების პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას.

პრესრელიზში ასევე ნახსენებია სიტუაცია სამხრეთ ოსეთში, კერძოდ, რუსი მესაზღვრეების მიერ სასაზღვრო გამყოფი ხაზის საქართველოს კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიის სიღრმეში გადმოტანასთან დაკავშირებით, დოკუმენტში აღნიშნულია: **„ალექსანდრ ვერშბოუმ მკაფიოდ აგრძნობინა მათ, რომ მოკავშირეები მთლიანად უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში“.**

აღსანიშნავია, რომ ადრე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ განზრახული აქვს ნატოს შტაბ-ბინაში შეხვედრებზე, რომლებიც დახურული იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის, დააყენოს საკითხი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის დაჩქარების შესახებ. მისი სიტყვებით, საქართველო უკვე შეესაბამება წევრობისათვის მოქმედების გეგმის მიღების მოთხოვნებს, შესაბამისად, მას იმედი აქვს, რომ ეს აღიარებული იქნება ნატოს სამიტზე ვარშავაში 2016 წელს.

წევრობისათვის მოქმედების გეგმა — ესაა ოფიციალური პროგრამა ალიანსში ახალი წევრების მიღებისათვის. მასში მონაწილეობა მიზნად ისახავს დაეხმაროს ქვეყანას — მოემზადოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლისთვის, თუმცა, ამის გარანტიას არ იძლევა.

საქართველოს იმედი ჰქონდა მიეღო წევრობისათვის მოქმედების გეგმა უელსის სამიტზე 2014 წლის სექტემბერში, მაგრამ მის ნაცვლად ნატომ შესთავაზა თბილისს დაახლოების სხვა ფორმატი. თანამშრომლობის ახალი პაკეტის თანახმად, წლის ბოლომდე საქართველოში იგეგმება ნატოს სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის გახსნა. იგი გათვალისწინებულია ერთობლივი სწავლებისათვის ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებთან, პარტნიორ ქვეყნებთან და საქართველოს სამხედროებთან ერთად.

„სტაბილური და საიმედო პარტნიორი“

თანამშრომლობის ახალი პაკეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული ასპექტია ნატოს სწავლების მოწყობა საქართველოს ტერიტორიაზე. 8-22 ივლისის პერიოდში ნატოს ეგიდით საქართველოს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მიმდინარეობდა საერთაშორისო სწავლება, რომელიც ითვალისწინებს სამეთაურო-საშტაბო და სავეღე მანევრებს. წელს ამ სწავლებებში, გარდა ქართველი და ამერიკელი სამხედროებისა, პირველად ღებულობდნენ მონაწილეობას ნატოს სხვა წევრი ქვეყნების — ბულგარეთის, რუმინეთის, ლიტვისა და ლატვიის — წარმომადგენლები. სომხეთისა და მოლდოვის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ესწრებოდნენ ამ სწავლებას მეთვალყურეების სახით.

„ეს არის პირველი სწავლება, რომელიც გაიმართა ნატოსთან თანამშრომლობის არსებული პაკეტის ფარგლებში. მე იგი წარმატებულად მიმაჩნია. მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველო არის ალიანსის სტაბილური და საიმედო პარტნიორი კავკასიის რეგიონში“, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ.

თავის მხრივ, ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის საზღვაო ქვეითი ჯარების ძალების სარდლის მოადგილემ ჯეიმს დონელანმა საჩვენებელი მანევრების შემდეგ 21 ივლისს განაცხადა, რომ ნატოს სწავლებანი საქართველოში მომავალშიც გაიმართება.

„აღნიშნული სწავლება მაღალი დონისაა, სადაც ბევრი ქვეყნის სამხედრო მონაწილეობს. დღეს ჩვენ ვნახეთ მათი კავშირურთიერთობა ბრძოლაში. მეტად მნიშვნელოვანია, რომ სწავლებაში ჩაირთონ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარები. ჩვენ საქართველოსთან თანამშრომლობას მომავალშიც გავაგრძელებთ“, — განუცხადა დონელანმა ჟურნალისტებს.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან ეს სწავლებანი ეწყობოდა საქართველოში ყოველწლიურად ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის ფარგლებში. ამ სწავლებებს ასევე მიზნად ჰქონდათ საქართველოს შეიარაღებული ძალების შეთავსების ამაღლება ნატოს სტანდარტებთან და საქართველოს სამხედროების მომზადება საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში. 2015 წლიდან იგი გადაიქცა მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებად. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ კი დაიწყეს ახალი ყოველწლიური ერთობლივი სწავლება, რომელიც გაიმართა 11-25 მაისს ვაზიანის პოლიგონზე დაახლოებით 600 ამერიკელი და ქართველი სამხედროს მონაწილეობით. სწავლების მიზანი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადება მომავალში ნატოს ოპერაციებსა და სწავლებაში მონაწილეობისათვის.

„გადამწყვეტი სიგნალი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე მიიჩნევს, რომ ნატოს ვარშავის სამიტის გადაწყვეტილება გადამწყვეტი სიგნალი იქნება საქართველოს მოსახლეობისათვის, რომელიც, მისი სიტყვებით, მიუხედავად ალიანსთან განვითარებული ურთიერთობისა, უკმაყოფილოა საინტეგრაციო პროცესების ტემპით. „ამერიკის ხმის“ რუსულ სამსახურთან ინტერვიუში ექსპერტმა შეგვახსენა საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვის შედეგები, რომელთა თანახმადაც საქართველოში იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც სურს იხილონ ქვეყანა ევროპულ კავშირში.

„ეს ხდება არა იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობას გაზრახული აქვს უარი თქვას პროდასავლურ კურსზე — უბრალოდ იზრდება გაწბილება, ხალხი დაიღალა მოლოდინით და თანდათანობით კარგავს იმის რწმენას, რომ ოდესმე დასავლეთის ქვეყნები შეძლებენ მოახდინონ რუსეთის მდუმარე ვეტოს უგულებელყოფა და მიიღებენ საქართველოს ნატოს რიგებში“, — მიაჩნია პროფესორ მაცაბერიძეს.

შეგახსენებთ, რომ, გამოკითხვის თანახმად, რომელიც საქართველოში ამერიკის არასამთავრობო ორგანიზაციამ — ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა — მოაწყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკური კურსის მხარდაჭერა ქვეყნის მოსახლეობაში სჭარბობს, საქართველოში აღინიშნება იმათი რიცხვის ზრდაც, ვისაც სურს იხილოს ქვეყანა ევრაზიულ კავშირში. მაგალითად, მათმა რიცხვმა 2013 წლის აპრილში 31 პროცენტს მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიურ გამოკითხვაში, რომელიც ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა მოაწყო 2014 წლის აგვისტოში, საქართველოს ევრაზიულ კავშირში მიერთებას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 20-მა პროცენტმა, შარშან აპრილში კი საქართველოს ევრაზიულ კავშირში წევრობას მხარი დაუჭირა რესპონდენტთა 16 პროცენტმა, 2013 წლის ნოემბერში კი — სულ რაღაც 11 პროცენტმა.

პოლიტოლოგმა აღნიშნა, რომ, თუ რეგულარული შექებითი განცხადებების შემდეგ ალიანსის წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოს პროგრესთან დაკავშირებით ყველა სფეროში, რაც ინტეგრაციულ პროცესებთანაა დაკავშირებული, აგრეთვე საქართველოს სამხედრო მოსამსახურეების მაღალი შეფასების შემდეგ ნატოს მისიებში, საქართველო არ მიიღებს წევრობისათვის მოქმედების გეგმას ვარშავის სამიტზე, ხელისუფლებისთვის რთული იქნება იმედი იქონიოს მოსახლეობის მხარდაჭერაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოლიტიკისათვის.

„საქართველოს ვარშავის სამიტისგან სჭირდება ერთმნიშვნელოვანი პასუხი. ესაა ერთადერთი გზა საქართველოს, როგორც პარტნიორის შენარჩუნებისათვის“, — დარწმუნებულია რაჟდენ მაცაბერიძე.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ფრანგმა ფერმერებმა გააგრძელეს საპროტესტო აქციები - ისინი მოითხოვენ გაიზარდოს საფინანსო დახმარება სახელმწიფოსგან

პროტესტის მონაწილეებმა გადაკეტეს ავტოგზები ქალაქების ლიონისა და კლერმონ-ფერანის მახლობლად. ასევე ვეზულისა და სხვა რეგიონალურ ცენტრებშიც გართულებულია მოძრაობა, ვინაიდან აგრარიკოსები კეტავენ გზებს ტექნიკის დახმარებით. ძველებურად დაბლოკილია ტრასები ქვეყნის დასავლეთში — ბრეტანიასა და ნორმანდიაში, სადაც აქციები არ ცხრება მიმდინარე კვირის დასაწყისიდან.

ალმათში ღვარცოფი მოვარდა: 3 რაიონში დაიტბორა სახლები, გამოცხადებულია საგანგებო სიტუაციის რეჟიმი

წინასწარი მონაცემებით, ღვარცოფის ჩამოწოლის შედეგად მსხვერპლი არაა. ასობით მცხოვრები ევაკუირებულია, მათ შესთავაზეს დროებითი საცხოვრებელი ადგილები. ადგილობრივი ჩინოვნიკები მათ ჰპირდებიან გადაუხადონ კომპენსაცია. ყველაზე მეტად დაზარალდა ნაურიზბაისკის რაიონი. დაახლოებით 100 სახლი დატბორილია, მაგრამ დაზარალებულ ნაგებობათა ზუსტი ოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაიგეს აშშ-ის გეგმები - მიაწოდოს უკრაინას ძლიერი რადარი

ასე შეეცდება პენტაგონი დაეხმაროს კიევს სეპარატისტების არტილერიის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითგამოცხადებულ ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკებში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე მიაწოდა უკრაინას 20 მსუბუქი რადარი, რომლებიც გამოიყენება ნაღმსატყორცნთა გაანგარიშების გამოვლენისა და დათრგუნვისათვის, კიდევ 10 ასეთ რადარს გადასცემენ მათ წლის ბოლოსათვის, მაგრამ მათი მოქმედების რადიუსი მხოლოდ 9 კილომეტრია.

ფრანგი დეპუტატების შემდეგ რუსეთის ფედერაციაში ჩამოვლენ „რუსეთის მეგობრები ევროპარლამენტიდან“

პოლიტიკოსების ზეეროვნული და ზეპარტიული ჯგუფი „ახალი დიალოგისათვის რუსეთთან“ ჩამოყალიბდა ივნისის ბოლოს. მასში არიან ფრანგები, იტალიელი ქალი ბერლუსკონის პარტიიდან „წინ იტალიავ“ თავისი კოლეგებით, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და პორტუგალიის წარმომადგენლები. დელეგაციის ხელმძღვანელია ნიკოლა სარკოზის პარტიის „რესპუბლიკელების“ წარმომადგენელი ნადინ მორანო.

ლუკაშენკომ დეპარდიეს ასწავლა ბალახის მოცელვა

ბელარუსის პრეზიდენტისა და მსახიობის შეხვედრა არაფორმალურ ვითარებაში გაიმართა — რესპუბლიკის ხელმძღვანელმა სტუმარს გააცნო თავისი შვილი ნიკოლაი და მოაწყო ექსკურსია თავის რეზიდენციაში „ოზიორნი“ ოსტროშიცის დაბაში. როდესაც მინსკში ჩავიდა, კინემატოგრაფის ლეგენდამ ჟურნალისტებს უჩვენა რუსული პასპორტი, რომლითაც იგი მსოფლიოში მოგზაურობს.

წაბილწვა მოინდომეს

ვაპ, დრონი დრონი...

თუ გრიგოლ რობაქიძეს ენდობი, ჰომოფობიის იარლიყს მოგაკრავენ!

მსოფლიო გავლენის მქონე გაზეთ „ფაინენშელ ტაიმსი“ რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრისადმი მიძღვნილ აღფრთოვანებულ წერილში აღნიშნავდა, რომ თოჯინების მიერ ნათამაშები სცენები გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე მსახიობების მიერ განსახიერებული.

პირდაპირ ამბობენ სათქმელს, მიუკიბავ-მოუკიბავადო.

ალალად.

საზოგადოებრიობაც, ეტყობა, უფრო ენდობა მათ გულწრფელობას.

თოჯინა ლაპარაკობს!

ამიტომაც გადავიკითხე (მერამდენედ!) რეზო გაბრიაძის მარიონეტების შეუდარებელი სპექტაკლის „დე ფანტიეს ბრილიანტის“ სცენარი, როგორც ოქროსმაძიებელმა კლონდაიკში, მოსაძებნად სათაურისა, რომელიც ჩემს რეპლიკას შესაბამის მნიშვნელობას შესძენდა, და აღმოვაჩინე:

„ო, შენ დავარდნილო კაპიკიანო!“

ჯერ კაპიკის ფასი რაა, მერე — დავარდნილისა, ვიღაცას რომ დაჰკარგვია და არ ეძებს.

ესეც — სათაური „არტანუჯის“ მიერ მოძიებული და გერმანულიდან ქართულად ნათარგმნი გრიგოლ რობაქიძის რომანის „მცველნი გრალისა“ კიდეებზე მიწერილი ერთი შენიშვნისთვის.

ეგებ გახსოვთ, გერმანიაში განსწავლული ჩვენი თანამედროვე „ფილოსოფოსი“ (თუ რაღაც ამგვარი), რომლის ნააზრევი ანტიეროვნულობა სააკაშვილის ზეობის ხანაში ხელიხელსაგოგმანებ მარგალიტებად ჰქონდათ ფარისეველ ყოფილებს ჭეშმარიტების რანგში აღზევებული.

გვითახსირებდა ქართულ ადათ-წესებს, ხოლო ქართული სუფრა, ქეიფი გეების (მამათმავლების) თავშეყრისა და გაუკუღმართებულ სექსუალურ მიდრეკილებათა რიტუალურ აქტად წარმოგვიდგინა — ქეიფი-გეიფი.

ეს ვინმე — ემზარ ჯგერენაია წერდა: „ქართული სუფრა, მიკროსაზოგადოებაა, სოციალურობის ერთგვარი მოდელი“.

ეს მოდელი, რომელიც თურმე ქართული სუფრაა, მზადდება ქალის მიერ და მისი (ქალის) ფუნქცია ამით ამოიწურება. „ამის შემდეგ იწყება უმთავრესი ქართული საქმე, ქეიფი ანუ გეიფი (!). ამდენად, ქართული სუფრა ქართული მამაკაცური სუბკულტურის ძირითადი (!) ატრიბუტია“.

ჩაგვითრია ვაიუბედურ მეცნიერულ მსჯელობაში ჯგერენაიამ და იწყებს მთავარი სათქმელის გადმოცემას: „მამაკაცთაშორისი სიყვარული, სიტყვები, რომლებითაც მამაკაცები სუფრის მსვლელობისას მიმართავენ ერთმანეთს („ჩავეხუტოთ ერთმანეთს“, „მოვესიყვარულოთ“, „ძალიან მომენატრა შენთან ჩაჯდომა“, „მიყვარხარ“ და ა.შ.), ღრმა ეროტიზმისა და ურთიერთნდობის შემცველია... ამ ლატენტურ ურთიერთლტოლვას ქ(გ)ეიფის მეორე დღე, ურთიერთლტოლვის გაცნობიერებით გამოწვეული ერთგვარი „დარცხვენილობა“ ააშკარავებს. ქ(გ)ეიფზე მიღწეული „მამაკაცური გულწრფელობა“ „პახმელიაზე“ გამოსვლით გამოისყიდება...“

ეს ზედაპირზე დევსო.

სიღრმეში თუ წავალთ: „შეიძლება ითქვას, რომ ქართული სუფრა ფორმით ჰომოსექსუალისტური და შინაარსით ტრაგი-ჰეტეროსექსუალისტურია, ხოლო ქართველი მამაკაცი არშემდგარი ქალი, ანუ ქალის ცუდი შემთხვევაა“.

ჰოდა, ამ არშემდგარმა ქალმა, ანუ ქალის ცუდმა შემთხვევამ, როგორც თვითონ აღიარა, რომელიღაც სუბკულტურულ-პროვინციული „სუფრის გეომეტრიულ-სივრცული კონფიგურაციის“ (მისი ტერმინებია) მიერ გაუკუღმართებულად აღგზნებულმა წაგვიბილწა ქართული სუფრა, ტრადიცია და ქართველობა საერთოდ.

რომ შეუტიეს, დატკბა და გამოაცხადა — „მეც ამ ქვეყნის შვილი ვარ“. უკან დაიხია და გვაუწყა: „ეს იყო გარკვეული ირონია, ხუმრობა და ასე შემდეგ... მე უბრალოდ მინდოდა, კრიტიკულად შეგვეხედა ჩვენი არსებობისთვის“.

თქვა რუქამ არაკი!

ირონია, არც „გარკვეული“, არც ხუმრობა ნატამალი დოზით ჯგერენაიას ოპუსში არ იყო. არც უფიქრია!

ხოლო ქართულ ტრადიციებს ჩვენი არსებობის რაღაც გაურკვეველი სიმყარის შეძენის მიზნით კი არ შეუტია, არამედ საზოგადოებრივი აზრის შესაჩვევად მომავალი გაელგებეტელობისთვის.

ვიხუმრეო!

ბინძურად უხუმრია, „შარლი ებდოს“ უხამსობით.

წუმპე!

ქართული სუფრის წყაროსთვალი რეზო ამაშუკელთანაა, სხვა მასპინძელთან, სხვა მარანში, სხვა სიწმინდე და შერკინება:

მასპინძლად იდგა მარანი ყვარლის,
აქაც შევებით ლხინში კახელებს,
ვიღებდით ალალ პურსა და მარილს
და ვახსენებდით უკვდავ სახელებს.

ჩაუჯექით ამ სუფრას რეზო ამაშუკელთან ერთად და „ქინძმარაულის წითელი შხეფი“ აიაზმად გეპკურებათ „ყანწების ძეწკვის წკარუნში“.

ამასობაში:

ისე გათენდა,
მტერს რომ შეყროდი,
ალალ ძმასავით გაუღიმებდი!..
და ვაზი მზეზე უხმოდ ტიროდა
ქართველი კაცის სვე და იმედი.

(„ეს გაუმარჯოს გლეხის მარჯვენას!“)

განიწმინდები, დაიცლები ყოველი ბოროტისგან, როგორც კახურად დასხმული თლილი ჭიქიდან გადმოწურული უკანასკნელი წვეთი.

დღეს, როცა აშშ-მა ყველა შტატში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების ყროლით სავსე გოვზა თავზე დაიმხო, როცა აცუნდრუკდნენ უცხოეთიდან დაფინანსებული „არასამთავრობოები“, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ გრიგოლ რობაქიძის რომანში „მცველნი გრალისა“ ჩამოყალიბებული ღვთაებრივი არსი ქართული სუფრის.

„არქაულ ეპოქაში პურისჭამა საკულტო ქმედებას წარმოადგენდა და ასეთად დარჩა დღემდე საქართველოში...

ყველა ადამიანი, თუნდაც მახინჯი, ანდა ბედისწერისგან დაღდასმული, საკუთარ თავში მაინც იტევს რაღაც მშვენიერს. სადღეგრძელოს დანიშნულებაა, სწორად ამ მშვენიერის მიგნება და მზიური მაგიით მისი სააშკარაოზე ისეთნაირად გამოტანა, რომ ამ ადამიანმა თვითონაც შეიგრძნოს, როგორ იშლება და იფურჩქნება მასში თამადის მიერ ხოტბაშესხმული თვისება. თამადამ თანდათანობით ექსტაზამდე უნდა აიყვანოს მეინახეთა განწყობილება. ამასთან, იუმორის გრძნობაც უნდა ჰქონდეს, რათა დასაწყისშივე გაქარწყლოს სუფრასთან შექმნილი რაიმე უსიამო ვითარება. ენამჭევრობაც მართებს და სმაც უნდა შეეძლოს ისეთნაირად, რომ სწრაფად არ შეთვრეს... თამადა სუფრის შეუზღუდავი მბრძანებელია, რაც უსასრულოდ ზრდის როგორც მის მისიას, ისე პასუხისმგებლობასაც“ (გრიგოლ რობაქიძე, „სამი რომანი“, გვ. 292-293).

ამის წაბილწვა მოინდომეს: „მზის ნადიმის“, — ესეც რობაქიძისეულია.

არმაზ სანეგლიძე.

P. S. მკითხველო, შეადარე ერთმანეთს ამ რეპლიკაში მოხმობილი ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები, და რომლისკენაც გულმა გაგიწიოს, ის ირწმუნე.

ოღონდ გაითვალისწინე, თუ ემზარ ჯგერენაიას მხარეს დაიჭერ, წინწაწეულ, თანამედროვე ადამიანად მოგნათლავენ, ლიბერალად.



თუ გრიგოლ რობაქიძეს და რეზო ამაშუკელს ენდობი, ჰომოფობიის იარლიყს მოგაკრავენ.

არჩევანი შენზეა.

ა. ს.

სტიქია

თელავის რაიონის სოფლები დაისეტყვა

ძლიერი სიტყვის შედეგად თელავის რაიონის სოფლები ნაფარეული, კონდოლი, ვანთა და აკურა დაისეტყვა.

სეტყვას თან ძლერი ქარი ერთვოდა, რამაც თელავი-ნაფარეულის მაგისტრალზე, ლოპოტას მიმდებარე ტერიტორიაზე ხეები მოგლიჯა.

ადგილზე სამაშველო სამსახურები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ამ დროისთვის ლოპოტას ტბისკენ მიმავალი გზა გახსნილია. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ალექსანდრე შათირიშვილის განცხადებით, სტიქიით მიყენებული ზარალის დათვლა დილიდან დაიწყო.

ყვარლის მოსახლეობა ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს

ძლიერი სეტყვის შედეგად, ყვარლის რაიონში ათეულობით ჰექტარი ვენახი, საზამთროსა და სიმინდის ბაღებია განადგურებული. გლეხების თქმით, მოსავალი 100 პროცენტით არის განადგურებული. ადგილობრივები დახმარებას ხელისუფლებას სთხოვენ და აცხადებენ, რომ ზარალის ანაზღაურების გარეშე, აგროკრედიტების გადახდას ვერ შეძლებენ. გლეხების თქმით, ყვარელში სეტყვის

საწინააღმდეგო სისტემამ არ იმუშავა, რამაც ზარალი გამოიწვია. მოსახლეობა ზარალის დამთვლელ კომისიას გუშინ დილიდან ელოდებოდა.

კახეთის გუბერნატორის ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით, ზარალს შესაბამისი კომისია დაითვლის, დაზღვეული მოსავალი ავტომატურად ანაზღაურდება.

სოფელ ახაშენში 25 საცხოვრებელი სახლი დაიტბორა

გურჯაანის რაიონს სტიქია უტევს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იტყობინება, სოფელ ახაშენში 25 საცხოვრებელი სახლი დაიტბორა. უხვი ნალექის გამო, მდინარე ახაშენის ხევი ადიდდა, კალაპოტიდან გადმოვიდა და სოფლის ერთი ნაწილი დატბორა. ხევიდან მოტანილმა ქვაღორღმა სოფელში გამავალი სარკინიგზო მაგისტრალი ჩახერგა.

ადგილზე მიბილიზებულია ტექნიკა, ამ დროისთვის წყლის ამოტუმბვის და რკინიგზის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

ინტერპრესი

◎ სუმო

ტოჩინოშინს სამივე ბრძოლის მოგება სჭირდება

ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი ნაგოიას ბაშოზე დადებითი ბალანსის (კაჩი-კოში) დაფიქსირების შანსს ინარჩუნებს და ამისთვის დარჩენილი სამივე ორთაბრძოლის მოგება სჭირდება.

აღმოსავლეთის 1 მაეგაშირას წოდების მქონე ტოჩინოშინმა 7 მარცხის ფონზე მე-5 გამარჯვება (იორიკირით) დასავლეთის პირველ მაეგაშირა სადანოუმისთან იზეიმა. ქართველი სუმოისტის მომდევნო მეტოქე აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირა ტაკაიასუ იქნება, რომელსაც ჩვენებურის დარი ბალანსი აქვს.

სამწუხაროდ, წოდებაში დაქვეითებას ვერ გადაურჩება გაგამარუს შიკონათი ცნობილი თეიმურაზ ჯუღელი, რომელიც ივლისის სუპერტურნირზე დასავლეთის მე-6 მაეგაშირას წოდებით ირჯება.

გაგამარუმ აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა ტოკიტენკუსთან უვატენაგეთი წააგო და 4 მოგების წილ მე-8 მარცხი გაიფორმა. ამდენად, უარყოფით ბალანსს (მაკე-კოში) ველარაფრით გადაურჩება.

ნაგოიას ბაშოს მე-13 დღეს ქართველი გოლიათი დასავლეთის მე-11 მაეგაშირა კიოკუტენჰოს გაეჯიბრება.

უკვე ნათელია, რომ „იმპერატორის თასი“ მონღოლ იოკოძუნებს შორის გათამაშდება. ჰაკუჰო და კაკურიუ 11-11 მოგებით ლიდერობენ და თუკი წარმატებული სვლა განაგრძეს, უძლიერესის ვინაობას, სავარაუდოდ, ურთიერთშეხვედრაში გაარკვევენ.

ბეჭან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილმა წყვილებშიც იმარჯვა

საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჰოლანდიის ქალაქ შევენინგენში ერთეულთა შორის პირველი წრის დაძლევის შემდეგ თავის მეწყვილესთან, ჰოლანდიელ რომანო ფრანტზენთან ერთად ტურნირზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. ქართულ-ჰოლანდიურმა დუეტმა ოუელეტ-გროენის ტანდემი 6:3, 3:6, 10:7 დაამარცხა.

ტურნირის მეოთხედფინალში ქართულ-ჰოლანდიური წყვილი კარასიოვ-კუზნეცოვის რუსულ დუეტს დაუპირისპირდება.

ერთეულთა თანრიგში ნიკოლოზის მორიგი მეტოქე გერმანელი ფლორიან მაიერი იქნება.

ბადრი იაშვილი

◎ კალათბურთი

მაკედონია ასისტენტის იმედად დარჩა

მაკედონიის საკალათბურთო ნაკრებში, რომელიც 2015 წლის ევროპის ჩემპიონატზე ქართველთა ერთ-ერთი მეტოქეა, მოულოდნელი სიახლეა. ადგილობრივმა კალათბურთის ფედერაციამ კონტრაქტი გაუწყვიტა მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ ჯიკიჩს და ტურნირამდე დაახლოებით თვენახევრით ადრე გუნდი ახალ თავკაცს ჩააბარა.

თუ რა გახდა სერბ სპეციალისტთან განშორების მიზეზი, ცოტა ბუნდოვანია. მაკედონიელთა გავრცელებულ ოფიციალურ პრესრელიზში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ჯიკიჩს გარკვეული პრობლემები ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში წარმოექმნა და ფედერაციის საბჭომაც მასთან განშორება ერთხმად გადაწყვიტა.

ასეა თუ ისე, ევრობასკეტ-2015-ის ჯგუფური ეტაპიდან გასვლის ამბავში საქართველოს ეროვნული ნაკრების კონკურენტს მოულოდნელი პრობლემები წარმოექმნა და ეს მათ მზადებაზე კარგად ნამდვილად არ აისახება. მით უმეტეს, რომ უკვე კვირას ნაკრები სამედიცინო შემოწმების გასავლელად იკრიბება, ორშაბათიდან კი ვარჯიშები უნდა დაიწყოს.

ცნობისთვის: ჯიკიჩმა მაკედონიელები „ჩაგდებული“ 2013 წლის ევროპირველობის შემდეგ ჩაიბარა, სადაც გუნდმა პირველი რაუნდიც ვერ დაძლია. 43 წლის სერბმა მწვრთნელმა სლოვენიელი ალეშ პიპანი ჩაანაცვლა და ევრობასკეტ-2015-ის საკვალიფიკაციო ეტაპიც გაიარა. მაშინ მაკედონიელებმა ბელარუსს და დანიას აჯობეს და, მართალია, ბელგიას ჩამორჩნენ, ფინალური ეტაპის საგზური მაინც მოიპოვეს.

რაც შეეხება მაკედონიელთა ახალ თავკაცს, მარიან სრბინოვსკი ადგილობრივი სპეციალისტია და დიდი გამოცდილებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ის ნაკრებში ჯიკიჩის ასისტენტად მუშაობდა და უდავოა, რომ სხვა ვითარებაში ეროვნულ გუნდს არ ჩააბარებდნენ, ფორსმაჟორულ სიტუაციაში კი ფედერაციაში სხვა გამოსავალი აღარ დარჩათ.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის C ჯგუფში მაკედონიელები ქართველთა გარდა მასპინძელ ხორვატეთს, საბერძნეთს, სლოვენიას და ჰოლანდიას ეთამაშებიან. ისიც ვთქვათ, რომ ქართულ-მაკედონიური დაპირისპირება ზაგრებში 9 სექტემბერს გახლავთ დაგეგმილი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ციფრების ენით

ვინ უფრო სარფიანად გაყიდა „იუვემ“?

ტურინის „იუვენტუსმა“ ჩილელი ნახევარმცველი არტურო ვიდალი მიუნხენის „ბაიერნში“ გაასხვისა. ფეხბურთელის სანაცვლოდ „ბებერმა ქალბატონმა“ 40 მილიონი ევრო მიიღო. ვიდალი „იუვეს“ ისტორიაში ყველაზე სარფიანად გაყიდულ მოთამაშეებს შორის მეორე ადგილზეა და მხოლოდ ლეგენდარულ ფრანგს ზინედინ ზიდანს ჩამორჩება.

წარმოგიდგენთ „იუვენტუსის“ ისტორიაში 15 ფეხბურთელს, რომლებიც ამ გუნდმა ყველაზე ძვირად გაასხვისა.

1. **ზინედინ ზიდანი** — 2001 წელი, „რეალში“, 73 მილიონი ევრო,
2. **არტურო ვიდალი** — 2015 წელი, „ბაიერნში“, 40 მილიონი,
3. **ფილიპო ინძაგი** — 2001 წელი, „მილანში“, 37 მილიონი
4. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** — 2006 წელი, „ინტერში“, 25 მილიონი,
5. **ანჯელო პერუცი** — 1999 წელი, „ინტერში“, 19 მილიონი,
6. **ტიერი ანრი** — 1999 წელი, „არსენალში„, 16 მილიონი,
7. **მატეო ბრიგი** — 2004 წელი, „რომაში“, 16 მილიონი,
8. **დიეგო** — 2010 წელი, „ვოლფსბურგში“, 15.5 მილიონი,
9. **კრისტიან ვიერი** — 1997 წელი, „ატლეტიკოში“, 15 მილიონი,
10. **დარკო კოვაჩევიჩი** — 2001 წელი, „ლაციოში“, 15 მილიონი,
11. **ჯანლუკა ძამბროტა** — 2006 წელი, „ბარსელონაში“, 14 მილიონი,
12. **ემერსონი** — 2006 წელი, „რეალში“, 11.5 მილიონი,
13. **ფაბიო კანავარო** — 2006 წელი, „რეალში“, 11.5 მილიონი,
14. **დომენიკო კრიშიტო** — 2008 წელი, „ჯენოაში„, 11.5 მილიონი,
15. **ალესანდრო მატრი** — 2013 წელი, „მილანში“, 11 მილიონი.

კობა კობახიძე

◎ ავტოსპორტი

„ფერარი“: რაიკონენი ფეჯელივით სწრაფია

„ფერარის“ ფ1-ის ტექნიკური დირექტორი ჯეიმს ელისონი ამბობს, რომ კიმი რაიკონენი ისევე სწრაფია, როგორც სებასტიან ფეტელი, თუმცა, გერმანელი პილოტი მასზე ნაკლებ შეცდომას უშვებს. ბრიტანელი ინჟინერი ამ სეზონში ფეტელის მხოლოდ ერთ შეცდომას იხსენებს, რომელიც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ბაჰრეინის დიდი პრიზის რბოლის 36-ე წრეზე, ბოლო მოსახვევში დაუშვა. შედეგად მანქანის წინა ანტიფრთა დაზიანდა და ამის გამო ფეტელს დაუგეგმავი პიტსტოპის შესრულება მოუხდა.

კიმის კი გაცილებით მეტი შეცდომა აქვს და მისი მთავარი პრობლემა კვალიფიკაციაზე გამოსვლებია. შედეგი სახეზეა — ის ფეტელს 59 ქულით ჩამორჩება. ამასთან, გერმანელ მრბოლს ერთი გამარჯვება (მალაიზიაში) აქვს, ხოლო რაიკონენმა მხოლოდ ერთხელ მოახერხა კვარცხლბეკზე ასვლა.

იტალიურ გამოცემა „ავტოსპრინტის“ თხოვნაზე, შეეფასებინა რაიკონენის სეზონი, ელისონი პასუხობს: „სიჩქარის მხრივ მათ შორის განსხვავება არაა. ხან კიმია უფრო სწრაფი, ხან კი — სებასტიანი. განსხვავება ისაა, რომ სებასტიანი არასდროს, თითქმის არასდროს ცდება. ამ სეზონში მხოლოდ ბაჰრეინში დაშვებული შეცდომა მახსოვს. მისგან განსხვავებით, კიმის შეცდომები აქვს და განსაკუთრებით კვალიფიკაციაში ცდება ხოლმე. ამას მაშინაც ვიტყოდი, კიმი აქ რომ იყოს. ვფიქრობ, ის დამეთანხმებოდა. ხანდახან მცირე შეცდომაც კი საკმარისია რბოლის გასაფუჭებლად“.

ელისონი დასძენს, რომ „ფერარის“ „მერსედესთან“ ჩამორჩენის კიდევ უფრო შემცირება შეუძლია. მისი თქმით, მალაიზიაში გამარჯვებას „ფერარიში“ არ ელოდნენ და მაშინ მოლოდინი გაიზარდა, შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თუმცა, ელისონი დარწმუნებულია, რომ მარანელოელებს ლიდერთან ჩამორჩენის შემდგომი შემცირება ხელეწიფებათ.

„მოულოდნელ გამარჯვებაზე უარს არავინ ამბობს. მალაიზიის დიდი პრიზი გამორჩეული დღე იყო. გამარჯვების გემო გავიხსენეთ. ახლა კი მოუთმენლად ველით, ეს როდის განმეორდება. თუ გადავხედავთ იმას, რაც სეზონის დაწყებიდან გავაკეთეთ, დავინახავთ, რომ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო კარგ შედეგებს გვაძლევს. ჩვენ წრეზე დაახლოებით 1.5 წამით გავაუმჯობესეთ შედეგები, ამაში კი მანქანის და აგრეგატის სრულყოფა დაგვეხმარა. ფსონს რომ ჩამოვდიოდე იმაზე, თუ რას მოველი სეზონის მეორე ნახევარში, ვიტყოდი, რომ „მერსედესთან“ ჩამორჩენას კიდევ უფრო შევამცირებთ და ამას „უილიამსზე“ უკეთ გავაკეთებთ“, — დასძენს ელისონი.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

კრიშტიანუ პოლივუდის მსახიობს ეფანცქვალება

მას შემდეგ, რაც კრიშტიანუ რინალდუ ირინა შეიკს დაშორდა, ალბათ, არავინ მოველოდით პორტუგალიელი მეგოლისგან ტარიელივით წყლის პირას ჯდომას, თავში ხელების ცემასა და ცრემლთა დენას, რადგან არც კრიშტიანუა შოთა რუსთაველის გმირი და ის დროც კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა, სატრფოს დაკარგვის გამო ხალხი რომ თავპირს ტირილით ისიებდა.

როგორც ამერიკული ბულვარული მედია იუწყება, კრიშტიანუ რონალდუმ უკვე გაიჩინა ახალი გულისსწორი, რომელიც ირინა შეიკზე ნაკლებად ცნობილი ქალი ნამდვილად არაა და თუკი ეს ჭორები გამართლდა, შესაძლებელია რონალდუს პოპულარობა წარმატებული ფეხბურთელის იმიჯს ბევრად გაცდეს.

საუბარია წარმოშობით ავსტრალიელ მსახიობზე, 26 წლის მშვენიერ მარგო რობიზე, რომელიც რონალდუსთან მეგობრობას არ მალავს. მასთან საღლაბუცოდ კრიშტიანუმ მთები და ზღვები გადაიფრინა და ჰოლივუდში ჩავიდა. კინოს მოყვარულ ხალხს თუ დავუჯერებთ, მარგო რობის მეგავარსკვლავობამდე სულ ცოტა უკლია და გარეგნულადაც მის დამწუნებელს თვალები იალბუზს იქეთ ჰქონია დაკოსებული.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ქალაქი-მოჩვენებები

ზოგიერთი მათგანი ოდესღაც რეალურად არსებობდა, მაგრამ შემდეგ მოსახლეობამ ისინი მიატოვა, ანდა დრომ თუ მტერმა დაანგრია. თავად ცნება „დაკარული ქალაქები“ ბევრ კითხვას ბადებს – რატომ მიატოვეს ისინი? სად გაქრნენ მათი მცხოვრებნი? როგორ მოხდა, რომ ოდესღაც აყვავებული ქალაქები ახლა ისტორიულ რუკებზე მხოლოდ „ნაკვალევად“ აღიქმებიან?..

1. ძველი ქალაქებიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია **მაჩუ-პიკჩუ,** რომლის მეტ-ნაკლებად ზუსტი ასაკი ისტორიკოსებს ჯერაც ვერ დაუდგენიათ. ახალი განმარტება – „ქვეყნიერების ახალი საოცრება“ მან მხოლოდ 2007 წელს მიიღო. მაჩუ-პიკ-



ჩუ, რომლის სახელი „ძველ მწვერვალს“ ნიშნავს, თანამედროვე პერუს ტერიტორიაზეა.

ისტორიკოსთა უმრავლესობა იმაზე თანხმდება, რომ მაჩუ-პიკჩუ 1440-1552 წლებში „ცხოვრობდა“, თუმცა კი ამ თარიღის შემდეგ მისი ყველა მცხოვრები სადღაც გაქრა. ერთ-ერთი ვერსიით, ამის მიზეზი ესპანელთა შემოსევა გახდა, თუმცა, მათი ოპონენტების აზრით, მოსახლეობამ ქალაქი სხვა (შესაძლოა, ასტროლოგიური ან რელიგიური) მიზეზით მიატოვა, რადგან სტიქიური უბედურებისთვის ანდა მტრის შემოსევის კვალობაზე ის ძალიან კარგადაა შენახული.

ისტორიკოსთა მცდელობის მიუხედავად, მაჩუ-პიკჩუ თავის საიდუმლოებს მკვიდრად ინახავს. ერთი მათგანი ასეთია: ქალაქს თავს დასცქერის უაინა-პიკჩუ („ახალგაზრდა მწვერვალი“), როცა ამ მთაზე ინკები ტერასებს აგებდნენ, ისინი... ორასტონიან ქვის ბლოკებს ხმარობდნენ. როგორ ახერხებდნენ ინდიელები ამსიმძიმე ლოდების იმ სიმაღლეზე ატანას, სრულიად გაუგებარია – ინკებმა ბორბალი ხომ არ იცოდნენ...

2. ეგვიპტეს ძველი სამეფოს ხანის დედაქალაქი **მემფისი** კაიროდან 19 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. თავდაპირველად ქალაქს ინებუ-ჰეჯი

(„თეთრი კლდეები“) ეწოდებოდა. რამდენიმე ათასწლეულის წინათ იგი ქვეყნის ადმინისტრაციული, სავაჭრო და კულტურული ცენტრი იყო, რომელიც ვაჭრებს და მომლოცველებს მთელი აფრიკიდან და აზიიდან იზიდავდა. მაგრამ, ალექსანდრიის გაჩენისა და აღზევების შემდეგ მისი დიდების მზემ თანდათანობით ჩასვენება დაიწყო.

ჩვენს დრომდე ნაქალაქარმა მთლიანად ქვიშით დაფარულმა მოაღწია, მთელი ნაგებობა იქ, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ მუზეუმს წარმოადგენს, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, თუმცა კი სამუშაოთა წარმოებას დიდად ართულებს მიწისქვეშა წყლების მაღალი დონე და ის გარემოება, რომ ყოფილი დედაქალაქის ნანგრევები ამჟამად პალმების ტყეებით დაფარულ კერძო ნაკვეთებზე მდებარეობს.

3. **ტიკალი** – თანამედროვე გვატემალის ტერიტორიაზე მაიას ინდიელთა ტომის ძველთაძველი ქალაქია. მკვლევართა შეფასებით, იგი ჩ. წ. ა., VII საუკუნეშია დაარსებული და მისი გაფურჩქვნის ხანაში იქ, სავარაუდოდ, 200 ათასამდე კაცი ცხოვრობდა.

მაიას ენაზე „ტიკალი“ ნიშნავს „ადგილს, სადაც სულები ლაპარაკობენ“. ცხრა საუკუნის მანძილზე, მე-10-დან მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე, ტიკალში მართლაც მხოლოდ სულების ხმები ისმოდა, იმიტომ, რომ ხალხი იქ აღარ სახლობდა – მოსახლეობამ ქალაქი მიატოვა. თუ რატომ მოხდა ეს ამბავი, ამის პასუხი მეცნიერებს დღემდე არა აქვთ. დაცარიელებული ტიკალი მცენარეებმა და ველურმა ცხოველებმა დაიპყრეს, იგი ქალაქ-მოჩვენებად გადაიქცა.

ტიკალის ნანგრევებში ცნობილი კინოფილმის „ვარსკვლავური ომების“ ერთ-ერთი ეპიზოდი, მეამბოხეთა ბანაკი გადაიღეს, 2012 წლის 21 დეკემბერს კი უამრავი ტურისტი იქ „ქვეყნიერების დასასრულს“ „ხვდებოდა“, რა დროსაც ისტორიულ ძეგლს დიდი ზიანი მიაყენეს.

4. მექსიკის ჯუნგლებში დაკარგული ქალაქი-მოჩვენება **პალენკე,** მაიას ტომის ინდიელთა ყველაზე თვალწარმტაცი დასახლებაა. იგი შტატ ჩიაპას ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარეობს, მისი პირველი მოქალაქენი კი იქ 1500 წლის წინათ დასახლდნენ.

პალენკეს ყველაზე მაღალი ნაგებობა მონუმენტური „წარწერათა ტაძარია“. ამჟამად ამ უძველეს ქალაქში მხოლოდ რამდენიმე შენობაა დანგრეული, დანარჩენები კი ისევ ძველებურად იწონებენ თავს და უამრავ მნახველსაც იზიდავენ.

5. თანამედროვე იორდანიის ჭეშმარიტი განძია უძველესი ქალაქი **პეტრა,** რომელიც ქალაქ აკაბიდან ჩრდილოეთით სამი საათის სავალზე მდებარეობს. პეტრა – ესაა ნაბათეველების, გულადი მეომრებისა და შრომისმოყვარე ქვისმთლელების მიერ დატოვებული მემკვიდრეობა, რომლებიც იორდანიის სამხრეთში ორ ათას წელზე მეტი ხნის წინათ დასახლებულან.

ქალაქი უდაბნოს შუაგულში, მთებში მდებარეობს, რომლებიც დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში ხან ვარდისფერია, ხან მუქი ან ხასხასა წითელი, ხან კი სულაც ნარინჯისფერი. პეტრა მკვდარი ზღვიდან წითელი ზღვის აკაბას უბემდე მდინარე ვადი-ელ-არაბას ხეობაშია გაჭიმული.

მთავარი შესასვლელიდან მნახველები ცნობილი, ერთობ შიშის მომგვრელი სიქით გადიან, რომელიც ციცაბო კლდეებს შორის ქვიშაქვებში 3 კილომეტ-

რის სიგრძის ნაპირალს წარმოადგენს. პეტრას ყველაზე ცნობილი ძეგლია სიქის დამაგვირგვინებელი საგანძური, მის ირგვლივ კი ასობით ნაგებობაა, ფასადი, სამგლოვიარო დარბაზი, აკლდამა, აბანო და ტაძარი, აგრეთვე ჩ. წ. ა. პირველ საუკუნეებში 3 ათას კაცზე გათვლილი თეატრი.

იხ. 12 გვ.

ხსოვნა

ვლადიმერ ქევხიშვილი

საქართველოს აგრარულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – ტრაგიკულად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ერთწლოვანი კულტურების ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვლადიმერ ქევხიშვილი**.

დაიბადა 1928 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. კალაურში. სოფ.შრომის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს მან სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ იგი განაწილებით გაგზავნილი იქნა საქართველოს მიწათმოქმედების კვლევითი ინსტიტუტის კახეთის საცდელ სადგურში მეცნიერ-მუშაკად.

1957 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და მუშაობა განაგრძო კახეთის საცდელ სადგურში სწავლული მდივნის თანამდებობაზე, ხოლო 1960 წლიდან იგი მუშაობდა ამავე სადგურის დირექტორად.

1960 წელს ვ.ქევხიშვილი იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „მზესუმზირის აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი შირაქის ველის პირობებში“, ხოლო 1988 წელს ვ.იურევის სახელობის უკრაინის მემცენარეობის, სელექციისა და გენეტიკის სამცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მინდვრის კულტურების მოყვანის ტექნოლოგიის თავისებურებანი აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავებში“ და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1969 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ-მუშაკის სამეცნიერო წოდება, ხოლო 1996 წელს – პროფესორის წოდება.

2003 წელს პროფესორი ვლადიმერ ქევხიშვილი არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 5 მონოგრაფია: „მზესუმზირა“, „ხორბალი“, „გარე კახეთის მიწათმოქმედება“, „მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია“ და „მზესუმზირის წარმოების ტექნოლოგია“, რომლებიც სამაგიდო წიგნი გახდა არა მარტო ახალგაზრდა დამწყები მეცნიერებისათვის, არამედ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერებისა და სპეციალისტებისათვის.

ქვეყანამ დაუფასა მეცნიერს დიდი შრომითი საქმიანობა და აკადემიკოსი ვლადიმერ ქევხიშვილი დააჯილდოვა „საპატიო ნიშნის“ და „ღირსების“ ორდენებით, მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მეცნიერი, კარგი პედაგოგი, ახალგაზრდა მეცნიერების საყვარელი აღმზრდელი, მაგრამ თავისი წიგნების სახით დაგვიტოვა შრომები, რომელიც კიდევ ათეული წლის განმავლობაში გაუკაფავს გზას ახალგაზრდა მეცნიერებს და აგრარული დარგის სპეციალისტებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი და ღვაწლმოსილი მეცნიერის, აკადემიკოსის ვლადიმერ ქევხიშვილის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დედა ქეთევან კორსავა, მეუღლე რუსუდან სოსელია, შვილები ირაკლი, დათო, შვილიშვილები გიორგი, ნიტა, ნატალია, თინა, ირაკლი, რძლები ელენე ალავიძე, ნინო დვალიშვილი, ბიძაშვილები მურიკო, დიმკა თოფურიძეები, რძალი ირინა ჟორდანია ოჯახებით იუწყებიან

ბეჟან (ბაჩუკი) ჩაჩავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, VII 17 სთ. მისამართი: წერეთლის №12. გამოსვენება დიდუბის ეკლესიიდან, 25 VII, 14 სთ.

◎ წკეპლიკა

ბურთი პოლიტიკაში

პატივცემულო მკითხველო, ალბათ, იკითხავთ რა შუაშია ბურთი პოლიტიკაშიო? მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ბურთად მოგვევლინა სააკაშვილი პოლიტიკაში – ამერიკელებმა ჯერ უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოში დრიბლინგით შეაგდეს, შემდეგ ოდესის გუბერნატორის სავარძელში პენალტით დასვეს, ახლა კი აპირებენ თამაშგარე მდგომარეობიდან შუაგულ მოლდავეთში – პრემიერ-მინისტრად.

საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება ბურთაობა?

ლონდა მდივანი

რედაქცია **მაჩაბლის ქ. №7.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ **293-37-87; 568 82-09-84..**

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ქალაქი-მოჩვენებები

(მეთერთმეტე გვერდიდან)

6. ოდესღაც დიდებული **პალმირის** ნანგრევები დამასკოს ჩრდილო-აღმოსავლეთით 242 კილომეტრში მდებარეობს. ქალაქი იმითაა საქვეყნოდ ცნობილი, რომ ზენობიის ლეგენდარულმა დედოფალმა სეპტიმიამ რომს გამოწვევა ესროლა და ერთი პირობა შეძლო კიდეც მისთვის დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილის წართმევა. მე-7 საუკუნეში ქალაქი არაბებმა დაიპყრეს და მუსლიმანთა ციხე-სიმაგრედ გადაქცეს, თუმცა კი, შემდგომ მიწისძვრამ იგი საშინლად დაზიანა, მომდევნო ძარცვებმა კი ნანგრევებად აქცეს.

7. ჰენრიხ შლიმანი პირველი მკვლევარი არ ყოფილა, რომელმაც ლეგენდარული **ტროას** ძებნა სისარლიყის ბორცვზე დაიწყო, თუმცა კი, მისი მიგნების ბედი სწორედ მისი

ხვედრი აღმოჩნდა. არადა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეცნიერები დღესდღეობითაც აგრძელებენ კამათს იმის თაობაზე, მართლა ტროა არის შლიმანის მიერ ნაპოვნი ქალაქის ნანგრევები თუ არა. ტროას ვერსიის მთავარ დამადასტურებელ არგუმენტად შლიმანმა ეგრეთ წოდებული „პრიამოსის განძი“ წარადგინა, რომელიც დაახლოებით 900 ნივთს მოიცავს, მაგრამ სკეპტიკოსებმა მას უმალ წაუყენეს ბრალდება იმაში, რომ ეს განძი სხვადასხვა ფენაში ნაპოვნი საგნებითაა შედგენილი. საქმე ის არის, რომ ხშირი ომებისა და მიწისძვრების გამო, ტროას აღდგენა საკმაოდ ხშირად იყო ხოლმე საჭირო, ამიტომაც, როგორც არქეოლოგიური ობიექტი, ის სხვადასხვა ეპოქის დროინდელი ცხრა ფენისგან შედგება.

არქეოლოგთა აზრით, ტროა ჩ. წ. ა-მდე მე-13-მე-14 საუკუნეებში დაცარიელდა. ჩ.წ.ა-მდე დაახლოებით 1180 წელს ქალაქი უძლიერესმა მიწისძვრამ საშინლად დაანგრია და, როგორც ჩანს, იგი დაიწვა კიდეც. თუ რა გახდა იმის მიზეზი, რომ მოქალაქეებმა ოდესღაც ძლიერი, აყვავებული ქალაქი ტროა მიატოვეს — ომი იყო ეს თუ ბუნებრივი კატაკლიზმი — დღემდე უცნობია.

8. ქალაქი **ანი** ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. პირველი ცნობები მის შესახებ მე-5 საუკუნით თარიღდება. გაფურჩქვნის ხანაში ანის 1001 ეკლესიის ქალაქად იხსენიებდნენ, იგი ანის სახელმწიფოს დედაქალაქი იყო. ეს უნიკალური არქიტექტურით დამშვენებული უზარმაზარი მეგაპოლისი გახლდათ, რომელშიც, მე-13 საუკუნის არაბი ღვთისმეტყველისა და ისტორიკოსის სიბთ იბნ ალ-ჯაკუზის ცნობით, თურქების მიერ დარბევამდე, მილიონამდე კაცი ცხოვრობდა. შემდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალით ქვეყნის შიდა ნაწილში გადაასახლეს, ზოგმაც თავისით მიატოვა ოდესღაც აყვავებული ქალაქი. მართალია, ყოველივე ამის შემდეგ ანიმ კიდევ რამდენიმე ხანს იარსება, მაგრამ მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: წერტილი მის არსებობას 1319 წელს საშინელმა მიწისძვრამ დაუსვა.

9. 1165 წელს ნავარის ქალაქ ტუდელას რაბინმა ბენიამინ ტუდელელმა **ბაბილონი** მოინახულა, რის შემდეგაც დღიურში ჩაწერა, რომ „ქალაქი ნანგრევებს წარმოადგენს...“

მთელი ათასწლეულის მანძილზე ბაბილონი სამყაროს ჭეშმარიტი დედაქალაქი იყო: აქ იყო საყოველთაოდ განთქმული სემირამიდას დაკიდული ბაღები, ყვაოდა ცივილიზაცია. ქალაქი ბაბილონი სამეფოს გული, ალექსანდრე მაკედონელის უკიდეგანო იმპერიის ცენტრი იყო.

ჩ.ნ.ა-მდე 312 წელს, სელევკიდების სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, ბაბილონის დიდების მზის ჩასვენება დაიწყო. მოსახლეობის მასობრივი გასვლა დედაქალაქის



მდინარე ტიგროსზე ქალაქ სელევკიაში გადატანას მოყვა.

125 წელს ბაბილონი პართიელებმა, ფაქტობრივად, დაანგრიეს, რის შემდგომ იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი მკვიდრი მოსახლეობის გადაშენება დაიწყო.

10. მცირე აზიის დასავლეთის სანაპიროზე, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე კიდევ ერთი უძველესი ქალაქი, **ეფესი** მდებარეობს. ეგეოსის ზღვის სანაპიროზე განლაგებული ამ ულამაზესი ქალაქის 200-ათასიანი მოსახლეობის კეთილდღეობის საფუძველს ვაჭრობა წარმოადგენდა, რომელიც დიდი ნავსადგურის წყალობით სწრაფად ვითარდებოდა. ეფესი რომის იმპერიის სიდიდით მეორე ქალაქი იყო, თავად რომის შემდეგ. მაგრამ უძლიერესი მიწისძვრის შედეგად, ზღვამ უკან დაიხია და 57 მეტრით დაიწია, რასაც ქალაქის სწრაფი დაკნინება მოყვა. ძველი ეფესის ნარჩენები მაშინ თითქმის გაუვალმა ჭაობმა შთანთქა.

თავის დიდებას ეფესი, დიდწილად, აღმოსავლური სიუხვის ადგილობრივ ქალღმერთს უნდა უმადლოდეს, რომელიც, ჟამთა სრბოლაში, ბერძნულ ღვთაება არტემიდესთან გაიგივდა. ამჟამად ეფესის ნანგრევები ზღვის ნაპირიდან დაახლოებით 10 კილომეტრის მოშორებითაა.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რეკლამა

29 3-37-87;
568 82-09-84.

მაჩაბლის ქ. №7.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **გუშინ** ლიფტში მანიაკი დამესხა თავს!

— რა საშინელებაა!

— იმანაც ეს წამოიძახა!

* * *

ავადმყოფობათა ბაზრის გარეშე არ იქნებოდა წამლების ბაზარიც. სწორედ ეს არის ჰიპოკრატეს ის საიდუმლო, რომლის გაუცემლობის ფიცსაც დებენ ექიმები.

* * *

დიარეით გაწამებული ტიპი გიჟივით შევარდა ბინაში და ტუალეტს ეცა. იქ კი მისი ცოლი ზის.

— ჩქარა გამიღე, კუჭი მაქვს აშლილი, ვერ ვითმენ!

— ახალ ჩექმებს მიყიდი?

— გიყიდი, გიყიდი! მალე გამოდი!

— ახალ ქუდს?

— ქუდსაც გიყიდი, ოღონდ ჩქარა გამოდი!

— ქურქსაც მიყიდი!

— თფუ, შენი დედაც, აწი ეგდე მანდ და იარე დახეული პალტოთი!

* * *

ტიპი ლუბიანკაზე მიდის. ხედავს, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობის კარებზე ფირფიტაა გაკრული წარწერით: „უცხოთათვის შესვლა აკრძალულია!“

— იფ, თითქოს რომ დაგეწერათ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო“, კარებს შემოგინგრევდით, აი!

* * *

— **რას** აკეთებთ, ჯარისკაცო?

— თქვენს ბრძანებას ვასრულებ, მაიორო!

— მე თქვენთვის არაფერი არ მიბრძანებია!

— მეც არაფერს არ ვაკეთებ!

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24